# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 12 აპრილი 2008 №082 (3306) ფასი 50 თეთრი



## კედელა, კედელა, კედელა მისი ტოლ-სწორი ევროპაში არავინაა!

ქართველმა ძიუდოისტმა ზაზა კედელაშვილმა ევროპის ჩემპიონატებზე თავისი გამარჯვებები კანონზომიერებად აქცია და ყველა ეჭვი წაშალა, რომ მართლაც უძლიერესია კონტინენტზე.

ლისაბონში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, 66 კგ წონის ფინალში ზაზამ უნგრელი მიკლოშ უნგვარი იპონზე დასცა და ზედიზედ მესამედ დაიპყრო ბებერი კონტინენტი.

60 კილოგრამში კი ნაკრების ვეტერანმა ძიუდოისტმა ნესტორ ხერგიანმა შარშანდელ ვერცხლს წლეულს ბრინჯაო მიაყოლა.

## რა სურთ ზესტაფონს და ვიტ ჯორჯიას? ოღონდ დინამომ ამერთან წააგოს





ქირავდება

საოფისე ფართები რუსთაველზე
I ბინა 86 მ² - 800$ +მოსაკრებლები. კოსტავას 6
II ბინა 99 მ² - 900$ +მოსაკრებლები. კოსტავას 6

საოფისე ფართი თავისუფლების მოედანთან
75 მ² (ევრო რემონტით) - 800$ +მოსაკრებლები. პუშკინის 6

მობ: 895-22-91-22

## ამინდმა ხერხი წაგვართვა, ღონით უნდა მოვიგოთ!

### რუსები ექსპერიმენტს იტარებენ

ევროპის ერთა თასი

**რუსეთი — საქართველო**

დღეს. კრასნოიარსკი. 11 საათი



დღეს, ჩვენი დროით, დილის თერთმეტი საათი რომ იქნება, შუაგულ ციმბირში საქართველო რუსეთს 2007-08 წლების ერთა თასის მთავარ მატჩში დაეჯახება. ძვლების ღრჭიალი, აბა, იქ იქნება, თუ იქნება. ამ თამაშს საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში გვიჩვენებს.

გუშინ კრასნოიარსკში დავურეკეთ ჩვენების ყოფილ, აწ კი რუსეთის ნაკრების მწვრთნელ **კლოდ სორელს**, რომელსაც ორი დღის წინაც ვესაუბრეთ...

**— როდესაც პირველად დაგირეკეთ, თქვით, რომ ფავორიტი საქართველოა. კვლავ ასე ფიქრობთ?**

— დიახ, ამ ეტაპზე ჩემი გუნდი მეტოქეზე სუსტია. შარშანდელს აქეთ საკმაოდ დიდი სამუშაო გავწიეთ და მცირე პროგრესიც გვაქვს, მაგრამ ეს საქართველოს დარ გუნდთან საკმარისი არ არის. ადრეც გითხარით და ახლაც ვამბობ, რომ საქართველო ერთა თასის ყველაზე ძლიერი ნაკრებია.

**— მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ნაკრებში ახლა თაობათა ცვლაა?**

— საქართველოს ნაკრებს დიდი რეზერვი გააჩნია, რასაც ვერ ვიტყვი ჩემს გუნდზე. არც ქართველების დარი ინდივიდუალისტები მყავს. ასე რომ, ფავორიტი საქართველოა.

**— თქვენ შერკინებით თამაში გიყვართ, ახლაც ასე იქნება?**

— ჩვენ მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ გვაქვს — რაც გამოგვივა, იმას გავაკეთებთ. ისე კი, შერკინებაში ოთხი ახალბედა მოთამაშე მყავს, განსაკუთრებით მეორე და მესამე ხაზში გვაკლია გამოცდილი მორაგბეები. შეიძლება ითქვას, ექსპერიმენტული შემადგენლობით ვითამაშებთ.

**— გმადლობთ, საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებთ, ოღონდ არა საქართველოსთან...**

— კარგად მესმის თქვენი. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ვიყავი და ვიცი, რასაც ნიშნავს თქვენთვის რუსეთის დამარცხება.

*კლოდ სორელის შემდეგ საქართველოს ნაკრების მეორე მწვრთნელ* ***ლევან ცაბაძეს*** *ვესაუბრეთ...*

**— ითამაშებს თუ არა გიორგი შკინინი?**

— სამწუხაროდ, გიორგიმ ტრავმა ვერ მოირჩინა. განაცხადში კი ჩავწერთ, მაგრამ ვერ შეძლებს თამაშს და ოცდაერთი მორაგბით მოგვიწევს რუსეთთან დაპირისპირება. შკინინის ადგილს ძირითად შემადგენლობაში ახალბედა სანდრო თოდუა დაიკავებს. სხვა არჩევანი არც გვაქვს.

**— ამან ძალიან აგირიათ გეგმები?**

— შკინინი გამოცდილი მორაგბეა, თანაც ახლა, როდესაც რამდენიმე ძირითადი მორაგბე გვაკლია, გოშას გამოკლება სერიოზული დანაკლისია. თუმც გეგმები უფრო სხვა ფაქტორმა აგვირია. გუშინ კი გამოიდარა, მაგრამ ღამით გაწვიმდა და მთელი დღეა, არ გადაუღია. პროგნოზით, მატჩისას თოვლნარევი წვიმაც იქნება, რაც მოედანს აატალახებს და ხელდახელ კომბინაციური თამაში არ გამოვა. არადა, სწორედ ეს მიგვაჩნდა ჩვენს კოზირად. ახლა კი, ისევ შერკინებით, ჯაჯგურით მოგვიწევს რუსეთის დამარცხება.

**— ამაში დარწმუნებული ხართ?**

— ჩვენ რუსეთზე ძლიერები ვართ, ამას არც მეტოქე უარყოფს. უნდა მოვიგოთ, ამისი მჯერა.

**გაჩო სვანიძე**



დავით უგრელიძე, გოჩა ჯამარაული, ზურაბ პეტრიაშვილი, ლევან ყიფიანი, მიხეილ ყაველაშვილი, გელა კეტაშვილი, მამუკა კვარაცხელია

# ჩვენ ვითხოვთ არჩევნებს

**ლევან ყიფიანი, მიხეილ ყაველაშვილი, გოჩა ჯამარაული, მამუკა კვარაცხელია, ზურაბ პეტრიაშვილი, გელა კეტაშვილი, დავით უგრელიძე — გუშინ მათ კაფე „მსოფლიო სპორტში" პრესკონფერენცია მოაწყვეს და გაერთიანება „ჩვენი ფეხბურთის" გეგმებზე ისაუბრეს.**

**რა შევიტყვეთ ახალი? პირველ რიგში ის, რომ 21 აპრილს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან მკვეთრად დაპირისპირებული კავშირი ჟურნალისტებს და გულშემატკივრებს ჭადრაკის სასახლეში მისვლას სთავაზობს — ერთად დავსახოთ გეგმა და მივაღწიოთ ფედერაციის პრეზიდენტობის რიგგარეშე არჩევნებს, ამოვიყვანოთ ქართული ფეხბურთი ჭაობიდანო. კიდევ ის შევიტყვეთ, რომ სამი ორგანიზაცია — „ჩვენი ფეხბურთი", „ქომაგთა ლიგის კავშირი" და „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს" — გაერთიანდა, რიგგარეშე არჩევნების შემთხვევაში კი „ჩვენი ფეხბურთიდან" კანდიდატი ყაველაშვილი იქნება...**

**ლევან ყიფიანი**: „კატასტროფული მდგომარეობაა ქართულ ფეხბურთში და ამის ზერელედ ყურება აღარ შეიძლება. ფედერაციის ხელმძღვანელები შეგნებულად ქმნიან აჟიოტაჟს ეროვნულ ნაკრებში ძლიერი სპეციალისტის ჩამოყვანაზე და ამით ცდილობენ, მიჩქმალონ სხვა პრობლემები".

**ზურაბ პეტრიაშვილი**: „ფედერაცია ბოლო წუთამდე თავგამოდებით იცავდა კლაუს ტოპმიოლერს. საერთოდ, ისინი არავითარ ანალიზს არ აკეთებენ ცუდი შედეგის შემდეგ. ახლა ვან გაალიო, კატანეციო... მწვრთნელის ჩამოყვანაზე სპეციალურად გადააქვთ აქცენტი, ამ დროს კი ქუთაისსა და ფოთში ფეხბურთი ჩამკვდარია, „ბათუმი" და „დილა" სულს ღაფავენ. წარმოიდგინეთ, ჯერ სახელი წაართვეს გივი ჩოხელისა და სხვა დიდებული ქართველი ფეხბურთელების სახელობის ტურნირებს, ვითომ თვითონ ატარებენ ამ ტურნირებს, არადა, ბავშვების მშობლები აფინანსებენ. საქართველოს ჩემპიონატი იმ დონემდე დაეცა, რომ ფეხბურთელებს აქ თამაში არაპრესტიჟულად მიაჩნიათ, გარბიან თურქმენეთში, სომხეთში...

ვშიშობთ, ამის შემხედვარე, სახელმწიფოს გული არ აუცრუვდეს ფეხბურთზე".

**მამუკა კვარაცხელია**: „გახსოვთ, სანამ კლაუს ტოპმიოლერს ფედერაციის აღმასკომი დაამტკიცებდა, შიმშილობა დავიწყე, მაგრამ მაინც დაამტკიცეს. შიმშილობის დროს ერთ-ერთ მორაგბესთან 6 წლის შვილი მოვიდა და უთხრა, დღეს ფიზკულტურის გაკვეთილზე ფეხბურთი უნდა მეთამაშა, მაგრამ არ ვითამაშეო. მამა რომ შეეკითხა, რატომო, უპასუხა, ფეხბურთელები არაკაცები არიანო. აი, რა დღეში ვართ, ბავშვებსაც კი უცრუვდებათ გული ფეხბურთზე. როდემდე უნდა ვიყოთ ასე... გერმანელი მწვრთნელების ჩამოყვანის დღიდან ფედერაციამ უკვე 30 მილიონი დახარჯა. რაში?!"

*გელა კეტაშვილმა* ფედერაციის ხელმძღვანელობაზე თქვა, ყოფილი ცნობილი ფეხბურთელებიდან იქ მხოლოდ რევაზ არველაძე და გრიგოლ ცაავა მუშაობენ, რაც ნონსენსიაო. როგორც შევიტყვეთ, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებში კეტაშვილი ერთ-ერთი კანდიდატი იქნება.

*გოჩა ჯამარაულმა* კი „რუსთავი 2"-ის ეთერში „პრაიმ-ტაიმის" ინტერაქტივის შედეგებზე გაამახვილა ყურადღება, გულშემატკივართა 90 პროცენტზე მეტი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის არჩევნებს ითხოვს, ნათლად ჩანს, რაც სურს ხალხსო.

ლევან ყიფიანმა ასევე ხაზი გაუსვა, ჩვენ აბსოლუტურად თავისუფალნი ვართ პოლიტიკისგან, ამაში ეჭვი არავის შეეპაროს და არ გვინდა, ვინმემ ასეთი ჭორები აგოროსო.

დღევანდელი ფედერაცია არჩეული კი არა, დანიშნულია — ესეც ითქვა პრესკონფერენციაზე.

კი მაგრამ, ფედერაციის თავკაცმა ნოდარ ახალკაცმა რამდენჯერმე მკაფიოდ თქვა, რიგგარეშე არჩევნების არანაირი იურიდიული საფუძველი არ არსებობსო.

„არსებობს! ეს არის გულშემატკივართა ხმა. ყველამ, ვისაც გული შესტკივა ქართულ ფეხბურთში შექმნილ კატასტროფულ მდგომარეობაზე, ხმა უნდა აიმაღლოს. ჩვენ მივაღწევთ რიგგარეშე არჩევნებს. ფედერაციის აღმასკომში გამოჩნდებიან პიროვნებები, რომლებიც ამას დაეთანხმებიან" — თქვეს პრესკონფერენციის წამყვანებმა, დანარჩენი კი 21 აპრილს ჭადრაკის სასახლეში ვნახოთ...

**ილია ნანობაშვილი**

## თვალი თვალი



პეტარ სეგრტი და „პეტარ სეგრტი": საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი სიხარულით მიეგება ჩვენი ფოტოკორესპონდენტის კამერას. სიხარულით მიეგება კამერას „პეტარ სეგრტიც"...

# მიმართვა ქართული ფეხბურთის გულშემატკივარს

**ჩვენ**, „ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგა", კავშირი „ჩვენი ფეხბურთი" და საზოგადოება „გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!" ვერთიანდებით ქართული ფეხბურთის გადასარჩენად.

კატასტროფამდეა მიყვანილი მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ფეხბურთი, შელახულია მისი იმიჯი როგორც ქვეყნის შიგნით, აგრეთვე მის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულმა ტენდენციამ საშიშროების წინაშე დააყენა ჩვენში ფეხბურთის არამარტო განვითარება, არამედ მისი არსებობაც.

ფეხბურთს მართავენ არაპროფესიონალები, ამის თვალსაჩინო მაგალითია ეროვნული ნაკრები ნუგდების მწვრთნელების გაუთავებელი როტაცია. დღეს ატეხილი ხელოვნური აჟიოტაჟით ფედერაციას შეგნებულად გადააქვს აქცენტი ახალი მწვრთნელის მოძიებაზე, რითაც მალავს ქართულ ფეხბურთში არსებულ რეალურ პრობლემებს: რეგიონებში ჩამკვდარ ფეხბურთს, კატასტროფულ მდგომარეობას ბავშვთა ფეხბურთში, უსახურ ეროვნულ ჩემპიონატს, გაუმართავ ინფრასტრუქტურას...

ჩვენ მოვითხოვთ სფფ-ის პრეზიდენტისა და აღმასკომის დაუყოვნებლივ გადადგომას, საარჩევნო სისტემის სრულყოფას და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი პოლიტიკისგან. მხოლოდ საფეხბურთო სამყაროს რჩეულს შეუძლია ჯანსაღი ძალების სრული კონსოლიდაცია, რაც არსებული კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი საშუალებაა.

ამ მიზნით, 21 აპრილს 12 საათზე ჭადრაკის სასახლეში დიდ საფეხბურთო ფორუმზე, რომლის დევიზია — „დავიბრუნოთ ქართული ფეხბურთი" — ვიწვევთ ფეხბურთის გულშემატკივარს, რომლისთვისაც ძვირფასია ქართული ფეხბურთი და სულ ერთი არაა მისი მომავალი...

**ქომაგთა ლიგა**

ვ. გუცაევი
ზ. პეტრიაშვილი
გ. გიგილაშვილი
მ. თევზაძე
დ. უგრელიძე

**ჩვენი ფეხბურთი**

მ. ყაველაშვილი
ლ. ყიფიანი
გ. ჯამარაული
ვ. მაისურაძე
ნ. ლობჟანიძე
ი. ზოიძე
მ. მაჭავარიანი
გ. დოლიძე
ზ. მაისურაძე

**გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს**

მ. კვარაცხელია
გ. კეტაშვილი

# ელიავა სკონტოს შემორჩა

**რიგის** „სკონტომ" ბალტიის თასზე 4:2 სძლია ტალინის „ლევადიას" და აღსანიშნავია, რომ ზაალ ელიავამ 90 წუთი ითამაშა.

საქმე ისაა, რომ ელიავა გუნდიდან წასვლას აპირებდა.

რაც შეეხება რიგელთა სხვა ქართველებს, ვლადიმერ დვალიშვილი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს, დავით გამეზარდაშვილს კი არ უთამაშია.

**ილია ნანობაშვილი**

## გერმანია

**ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი 1:0 ვოლფსბურგი

**II ბუნდესლიგა**

აუგსბურგი 2:1 მაინცი
აუე 0:0 ლაუტერნი
პადერბორნი 2:2 კიოლნი
ოსნაბრიუკი 2:0 კობლენცი
ვეჰენი 1:3 ზანკტ პაული

## ავსტრია

**ბუნდესლიგა**

რაპიდი 2:1 პაშინგი

**I დივიზიონი**

ლუშტენაუ 2:1 ზალცბურგი (მ)
პარნდორფი 3:0 აუსტრია (მ)
გრატკორნი 1:0 შვადორფი
შვანენშტადტი 0:2 აუსტრია (ლ)
ლეობენი 2:2 ბად აუზეე

## საფრანგეთი

**II დივიზიონი**

სედანი 2:0 ბრესტი
ანჟერი 3:0 შატორუ
ნიორი 1:0 კლერმონი
დიჟონი 0:0 გრენობლი
ტრუა 2:2 გენიონი
გენგამი 1:1 ლე ავრი
ბულონი 1:0 ლიბურნი
აიაჩო 2:1 ნანტი
ამიენი 1:0 რეიმსი

## ბელგია

**იუპილერლიგა**

ლოკერენი 0:0 სტანდარდი

## ჰოლანდია

**II დივიზიონი**

ვეენდამი 0:1 ვალვაიკი
კამბური 5:1 ჰელმონდი
ჰაარლემი 0:0 მაასტრიხტი
ვოლენდამი 2:0 დორდრეხტი
ზვოლე 1:1 ემენი
ეინდჰოვენი 4:1 აპელდორნი
დენ ბოსხი 3:0 ტელსტარი
სიტარდი 2:2 დენ ჰააგი
როზენდალი 0:1 ოსი
ალმერე 0:4 იგლსი

## პორტუგალია

**სუპერლიგა**

ბენფიკა 0:3 აკადემიკა

## თურქეთი

**სუპერლიგა**

ბეშიქთაში 0:1 ოფთა

## ირლანდია

**პრემიერლიგა**

ფინ ჰარპსი 0:3 სენტ პატრიკსი
ბოჰემიანსი 1:1 ბრეი
დერი 0:0 სლიგო
გალვეი 1:3 კორკი

## ინგლისი

**I ლიგა**

დონკასტერი 2:0 სუინდონი



სოსო გრიშიკაშვილი და დონალდ დერინგ ჯუსი

# რადიკალური გრიშიკაშვილი: ბორჯომი საშინელ დღეშია

## ამერის ფინალი 99-პროცენტიანია

გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ ორგანიზაცია „ჩვენი ფეხბურთის“ ხელმძღვანელებმა პრესკონფერენცია გამართეს. კაფეში ბლომად იყვნენ ჟურნალისტები, ყოფილი ფეხბურთელები, უბრალო ქომაგები და იყო ერთი მოქმედი ფეხბურთელი სოსო გრიშიკაშვილი, რომელიც თბილისის „დინამოდან“ „ბორჯომში“ იჯარითაა განათხოვრებული. გრიშიკაშვილი დიდი ხანია, ჩვენს ჩემპიონატში თამაშობს და საქართველოს ნაკრების კარშიც მდგარა. მას პირველად პრესკონფერენციაზე მოსვლის მიზეზი ვკითხეთ...

— „ჩვენი ფეხბურთის“ მთავარი მოთხოვნა რიგგარეშე არჩევნების ჩატარებაა და შენც ამას ემხრობი?

— სრულიად ვიზიარებ მათ წამოწყებას. ყველანი ვხედავთ, რომ ქართულ ფეხბურთს ახალი სისხლი სჭირდება. მე მათთან მეგობრობის გამო არ მოვსულვარ აქ. პროფესიონალურად უნდა შევხედოთ საქმეს — მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული პროფესიონალები არიან და მათი მჯერა. ამიტომაც ვარ აქ.

— ანუ შეძლებენ ისინი ქართული ფეხბურთის გაძღოლას?

— მათ კარგი ფეხბურთი უთამაშიათ და იციან, რა სჭირდება ფეხბურთს და ფეხბურთელს. ყველაფერი თავიანთ თავზე აქვთ გამოცდილი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ფეხბურთი პატარ-პატარა წვრილმანებისგან შედგება, ყველაფერი უნდა გაითვალისწინო. ეს ამ ხალხმა იცის. დღეს ფეხბურთის ფედერაციაში ძალიან ცოტა ადამიანი მუშაობს ისეთი, რომელთაც ფეხბურთი უთამაშიათ, რაც ძალიან ცუდია. ქართულ ფეხბურთში ბევრი რამაა გამოსასწორებელი.

— საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში თამაშობ. რას იტყვი, სადღეისოდ როგორი დონეა?

— აქ შეკრებილი ხალხიდან ალბათ ჩემზე მეტად ჩახედული არავინაა და გეტყვით — კატასტროფული მდგომარეობაა! „დინამოდან“ განათხოვრებით ვარ „ბორჯომში“, სადაც ასეთია სიტუაციაა — გუნდი, ფაქტობრივად, არ ვარჯიშობს. არის ბურთის და ბუცის პრობლემა... ამ თემაზე საუბარიც მეუხერხულება. ჩემს ადგილზე ბევრი ფეხბურთს თავს დაანებებდა, მაგრამ ვუძლებ, რადგან მომავლის იმედი მაქვს. ჩვენს ჩემპიონატს ისეთი იმიჯი აქვს შექმნილი, რომ აქ თამაში სირცხვილია...

— ცოტა არ იყოს, რადიკალური ყოფილხარ. ისე, ფაქტია, ჩემპიონატის დონე თუ არ აიწევს, ეროვნულ ნაკრებს ყოველთვის პრობლემა ექნება...

— იშვიათია, როცა ქვეყანას სუსტი ჩემპიონატი აქვს და წარმატებას აღწევს. მარტო ლეგიონერებით არაფერი გამოვა. კარგი ჩემპიონატი კონკურენციის გარანტია იქნება ნაკრებში. ხალხი არ დადის თამაშებზეო — ქომაგი სტადიონზე მაშინ მოვა, როცა ყველა მატჩში ბრძოლა იქნება და თამაშები თვალსასეირო გახდება. ქართველ კაცს ფეხბურთი ძალიან უყვარს, მაგრამ სტადიონზე მისვლის საბაბი უნდა მისცე.

— რამდენიმე ტურია, ტრავმის გამო არ გითამაშია. როდის ჩადგები მწყობრში?

— მხრის ტრავმა მქონდა და უკვე თითქმის მოვიშუშე. ალბათ მალე დავიწყებ თამაშს.

— რამდენიმე დღის წინ „ბორჯომმა“ თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში „ამერთან“ 1:4 წააგო...

— მიუხედავად იმისა, რომ გუნდში საშინელი მდგომარეობაა, „ბორჯომს“ თავი არ შეურცხვენია. ეს შედეგი რეალობას არ ასახავს.

— კამერუნელი დონალდ დერინგ ჯუსის გაძევებაზე რას იტყვი?

— მე გინება არ გამიგონია, მაგრამ თუ მართლა შეიგინა, გასაგდები ყოფილა! დერინგ ჯუსი მოედნიდან რომ გავიყვანე, გასახდელში მოსასულიერებელი გახდა, ძალიან განიცადა...

— როგორ ფიქრობ, „ბორჯომს“ ფინალში გასვლის შანსი დარჩა?

— 99 პროცენტით ფინალში „ამერია“, მაგრამ ჩვენ იმ ერთ პროცენტზე უნდა ვიფიქროთ. ტრავმირებული ფეხბურთელები დაგვიბრუნდებიან, ფეხბურთში შეუძლებელი არაფერია და ვნახოთ, რა გამოგვივა...

**ნუკრი ლოლაძე**

# საქართველომ ბელგიისგან რვა გაუშვა

**საქართველოს** ფუტსალის ნაკრებმა სლოვაკეთის ქალაქ ლაშკოში მიმდინარე ახალგაზრდული ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მეორე მატჩიც წააგო — მასპინძლებთან 1:5-ის შემდეგ პეტრე თაბუკაშვილის შეგირდებმა ბელგიელებთან 2:8 დათმეს.

დღეს ბოლო, მესამე ტურია და საქართველო მასზე უარეს ბულგარეთს ხვდება — ბალკანელები ბელგიასთან 0:7, სლოვაკეთთან კი 0:12 განადგურდნენ.

# სანამ ოპა მანამ ევროპა

## ფედერაცია მოლაპარაკებებს ოთხ მწვრთნელთან იწყებს

ვინ იქნება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი — ჯერ არავინ იცის და 100 პროცენტით შეგვიძლია ვთქვათ, რომ გამოკვეთილი კანდიდატი არ არსებობს. ის კი ნაღდია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ფავორიტთა შორის უპირველესი ჰოლანდიელი ლუის ვან გაალია: ყველაზე სასურველი, მაგრამ ყველაზე ძნელი და, შესაბამისად, ძვირი ვარიანტიც...

გუშინ ფედერაციის გენმდივან **უჩა უგულავას** დავუკავშირდით, ვისი თქმითაც, ერთ კვირაში ყველა გაიგებს საბოლოო კანდიდატთა სიას, მანამდე კი ვიზიტი ევროპაში...



— ორშაბათს ფედერაციის ხელმძღვანელობა ევროპაში გაემგზავრება და რამდენიმე მწვრთნელთან მოლაპარაკებას უშუალოდ დაიწყებ.

— **კერძოდ, რომელ ქვეყანაში?**

— ჯერ დაზუსტებით ვერ გეტყვით. სავარაუდოდ, ნოდარ ახალკაცი, რევაზ არველაძე და გოგი ქავთარაძე გაემგზავრებიან.

— **რამდენ მწვრთნელთან აპირებენ მოლაპარაკებას?**

— ოთხთან. არ არის გამორიცხული, იქ კიდევ გამოჩნდეს ახალი ვარიანტები.

— **ლუის ვან გაალი თუ არის მათ შორის?**

— ეგ უკვე დაკონკრეტება გამოვა, რასაც ამ ეტაპზე ვერიდებით, რადგან შეიძლება, მოლაპარაკების პროცესს ავნოს. გვერწმუნეთ, ჯერ თითქმის არაფერია გარკვეული და გამოკვეთილი ფიგურა არ ჩანს.

— **უკვე მერამდენედ ვკითხულობთ, მაგრამ მაინც: ქართველი მწვრთნელის დანიშვნა გამორიცხულია?**

— არა, ჯერ ასე ხელაღებით ვერ ვიტყვით, თუმცა უცხოელის მეტი შანსია.

— **თანაშემწედ ქართველი უნდა იყოს — ეს აუცილებელი პირობაა?**

— პუნქტში ასე გვიწერია და, სავარაუდოდ, ასეც იქნება. ჩვენი მოთხოვნები არ შეცვლილა: მწვრთნელმა წელიწადის მინიმუმ ნახევარი საქართველოში უნდა გაატაროს, მჭიდრო კონტაქტები უნდა ჰქონდეს ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებთან, რაც შეიძლება, ბოლომდე გაეცნოს ქართულ ფეხბურთს, მის ყველა თავისებურებას, თუმც ერთიცაა: დავუშვათ, მარჩელო ლიპი ან ჟოზე მაურინიუ რომ ჩამოვიყვანოთ, მას ვერ მოვთხოვთ, მაინცდამაინც ქართველი ასისტენტი უნდა გყავდესო.

— **ლიპი ადრეც ახსენეთ და საინტერესოა, გაქვთ მისი ჩამოყვანის იმედი?**

— იმედი გადაჭარბებული ნათქვამი გამოვა. არარეალური არ არის, მაგრამ ძალიან მეპარება ეჭვი, ლიპიმ საქართველოში იცხოვროს. ის აქამდე სულ ტოპ-გუნდებში მუშაობდა და...

— **ამასწინათ თქვით, ესტონეთთან და პორტუგალიასთან მატჩების შემდეგ, ანუ ივნისის დასაწყისში, შესაძლოა, ნაკრებმა კიდევ ერთი თამაში გამართოსო...**

— შოტლანდიამ უარი განაცხადა, ახლა კი კიდევ ორ ევროპულ და ერთ სამხრეთამერიკულ ნაკრებთან თამაშის ვარიანტები გვაქვს.

**ილია ნანობაშვილი**

# იმედაშვილი კიეველთა დუბლებში გამოჩნდა

**დავით იმედაშვილმა** ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ითამაშა კიევის „დინამოს“ დუბლებში, რომელმაც სიმფეროპოლის „ტავრია“ 7:0 გაანადგურა.



23 წლის ქართველი შესვენების შემდეგ შევიდა მინდორზე, როცა ანგარიში 2:0 იყო.

ექსვიტჯორჯიელი ზამთარში ბერძნულ პაოკ-ში ცდილობდა გადასვლას, თუმცა არ გამოუვიდა. მას მოქმედი კონტრაქტი აქვს კიეველებთან და „დინამოს“ ძირითად გუნდში ვერ ხვდება.

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 21 ტური



ტურის მთავარი მატჩი „ეროვნულზეა“: „დინამო“ — „ამერი“

თბილისი. 12 აპრილი. 16 საათი. მერანი

**მერანი — მესხეთი**

მსაჯები: ო. ხეცაძე, ლ. მიქელაძე, თ. ხუჭუა, ლ. სილაგავა

ბათუმი. 12 აპრილი. 16 საათი. ადელი

**ბათუმი — მგლები**

მსაჯები: მ. ურუშაძე, ლ. თოდრია, კ. გუდურაშვილი, კ. ჭაჭუა

გორი. 12 აპრილი. 16 საათი. ქართლი

**სპარტაკი — ვიტ ჯორჯია**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ო. მოლოდინაშვილი, გ. ყრუაშვილი, პ. დოგრაშვილი

ბოლნისი. 12 აპრილი. 16 საათი. თამაზ სტეფანია

**სიონი — ლოკომოტივი**

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ზ. ჯვარიძე, თ. გვანცელაძე

თბილისი. 13 აპრილი. 16 საათი. ეროვნული

**დინამო — ამერი**

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია, ვ. გუმბერიძე

რუსთავი. 13 აპრილი. 16 საათი. ფოლადი

**ოლიმპი — დილა**

მსაჯები: ვ. ელისაბედაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, კ. ტეფნაძე, ა. ნონიკაშვილი

ბორჯომი. 13 აპრილი. 16 საათი. ჯიმალ ზეინკლიშვილი

**ბორჯომი — ზესტაფონი**

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. ხუციშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ხ. გაგნიძე

# საქართველო საინტერესო თავსა და ბოლოშია...

## ჩემპიონატი დინამო — ამერით იწყება

**საქართველოს** მე-19 ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი ტური დარჩა და, უნდა ითქვას, ჩემპიონატი ახლა იწყება — ამიერიდან ფავორიტები დაერევიან ერთმანეთს.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა ქვედა ნაწილშიც — ორ ქვედალიგურ და ერთ საპლეიაუტო ადგილისთვის თავის ასაცილებლად ოთხი გუნდი იბრძვის და ვინ იქნება ერთი ბედნიერი, ესეც ამ ექვს ტურში გაირკვევა.

21-ე ტური დღეს-ხვალ გაიმართება და უკეთესი იქნება, ცხრილის თავიდან და ტურის ბოლოდან დავიწყოთ — ნახსენები ფავორიტების დუელი კვირასაა.

„დინამო“ — „ამერი“ განსხვავებული ამბიციებით ხვდებიან ტურს და მოედანზე მხოლოდ ერთი მიზანი ექნებათ — მოგება. ეს კი „ეროვნულზე“ კარგ სანახაობას გვპირდება.

მცირე სტატისტიკაც: აქამდე ეს გუნდები ჩემპიონატსა და თასზე 7-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. უპირატესობა „ამერის“ მხარესაა — 3 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება. ბურთები — 8:7.

განვლილ მატჩებში ყველაზე მეტი ამერელ სულიკო დავითაშვილს და აწ უკვე ექსდინამოელ სანდრო იაშვილს გაუტანიათ — 4-4.

„დინამოს“ იაშვილი აღარ ჰყავს. სამაგიეროდ, გუნდში არიან მიმდინარე ჩემპიონატის ბომბარდირები, მიხეილ ხუციშვილი და გიორგი მერებაშვილი. ამას დავუმატოთ ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი მათე ვაწაძე და გაბონის ნაკრების თავდამსხმელი ჟორჟ აკიემი — ძლიერი შემტევი ძალაა, თუმც ერთია, აფრიკელი ჯერ სათანადო ფორმაში არ არის.

სოლიდურია „ამერის“ შემტევი ხაზიც — დავითაშვილს პარტნიორებად ბოლო ხანს ათამაშებული რევაზ გოცირიძე, ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლე დიმიტრი ტატანაშვილი და ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი ბესიკ ჩიმაკაძე.

ამათგან ძირითადში ორი იქნება.

თანაბარია გუნდების დანარჩენი პოზიციებიც — დაცვა და ნახევარდაცვა გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა შერწყმული.

ერთია, „დინამოსთვის“ სამი ქულა უფრო ძვირფასია, ვიდრე მეტოქისთვის და „ამერიც“ უფრო თავისუფლად იქნება, ვიდრე შებოჭილი.

კვირას კიდევ ერთი საინტერესო მატჩია: „ბორჯომი“ — „ზესტაფონი“.

იმერლები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ჩემპიონობის შანსს, თანაც ბოლო დროს მძლავრად ათამაშდნენ, თუმც „ბორჯომი“ შინ ძნელად წასაქცევი მეტოქეა.

კურორტელები შესუსტებული შემადგენლობით დაუხვდებიან მეტოქეს. ჯერაც საეჭვოა გიორგი მეგრელაძის თამაში, კამერუნელი დონალდ დერინგ ჯუსი კი დისკვალიფიკაციის გამო გამოაკლდებათ.

მესამე საკვირაო მატჩი დიდი ვერაფერი უნდა გამოდგეს. უფრო სწორად, რუსთავის „ოლიმპს“ გორის „დილას“ ძლევა არ უნდა გაუჭირდეს. მართალია, მოტივაცია რუსთაველებს ნაკლები აქვთ, მაგრამ „დილასთან“ ქულების განიავება ნამდვილად არ ეკადრებათ.

„დილას“ ელიტაში დარჩენის თეორიული შანსი კი შერჩენია, მაგრამ უახლოეს ტურებში დაქვეითების ოფიციალურად „გაფორმებას“ უფრო მოახერხებს.

დასარჩენად მებრძოლი ოთხეულიდან ყველანი შაბათს ითამაშებენ. საინტერესოა, რომ ერთმანეთს არც ერთი არ შეხვდება და ყველა თავის თავსა და მეტოქის წაფორხილებაზე იქნება დამოკიდებული.

ყველაზე რთული მატჩი ცხინვალის „სპარტაკს“ ელის — ჩემპიონობისთვის შემართული „ვიტ ჯორჯია“ ესტუმრება.

ცხინვალელთა ყველაზე სუსტი წერტილი თავდასხმაა — გუნდს 20 მატჩში 8 ბურთი აქვს გატანილი და ეს „დილასთან“ ერთად ჩემპიონატის უარესი მაჩვენებელია. როგორ მოახერხებს გოლის გატანას „ვიტ ჯორჯიას“ მობილურ დაცვასთან, ცოტა ძნელი სათქმელია.

მასპინძელთათვის ფრე ალბათ საუკეთესო შედეგი იქნება.

ცხინვალელთათვის ქულა კი იქნება მისაღები, მაგრამ, აბა, „ვიტ ჯორჯიას“ ჰკითხეთ...

ვეტერინარებისთვის ახლა ქულების დაკარგვა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ვინძლო მეორედ გაჩემპიონება კარგა ხანს ვერც შეძლოს.

გვაოცებს თბილისის „ლოკომოტივის“ თამაში. ვაკელებმა სამი ისეთი ფეხბურთელი დაიმატეს, გუნდს უკეთესი შედეგი უნდა ჰქონდეს, მაგრამ კვლავაც უჭირს ქულების მოგროვება.

გასულ ტურში ლევან ცქიტიშვილი ფორმაში ვერ იყო და რა იქნება ბოლნისში, არავინ იცის.

ბოლნისელები კი მშვიდად არიან — ელიტაში ოფიციალურად დასარჩენად ქულების მინიმალური რაოდენობა სჭირდებათ და რაც მალე მოიპოვებენ ამას, მით უკეთესი მათთვის.

„მერანი“ და „ბათუმი“ დებიუტანტებს უმასპინძლებენ. დებიუტანტი უძახეთ და, ახალციხის „მესხეთისა“ და ზუგდიდის „მგლების“ საპირველსეზონო თამაში ურიგო არ ყოფილა — ორივე გუნდმა ამ სეზონში კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ასე რომ, მასპინძლებს იოლი ქულები არ ელით...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

### დისკვალიფიცირებულნი

„**სიონი**“: მიხეილ კობაური, გიორგი კვიტაიშვილი;

„**სპარტაკი**“: ირაკლი ძარია, რევაზ ქემოკლიძე;

„**დილა**“: ზურაბ ხორგუაშვილი (მთავარი მწვრთნელი), რევაზ ხაჭაპურიძე (მწვრთნელი), ზურაბ კარტოზია (ადმინისტრატორი), ალბერტ საყვარელიძე, ნოდარ ნოზაძე, ლაშა რეხვიაშვილი, გიორგი მიქაძე;

„**ლოკომოტივი**“: გიორგი ალავერდაშვილი;

„**ბორჯომი**“: გიორგი ქავთარაძე, დონალდ დერინგ ჯუსი, გიორგი კაკუბავა, გიორგი სუხიაშვილი (მწვრთნელი);

„**დინამო**“: მილოშ კრშკო;

„**ამერი**“: თენგიზ ჩიკვილაძე;

„**ზესტაფონი**“: ჟილვან ვიეირა, გიორგი ხიდეშელი, უჩა ლობჟანიძე.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 20 | 18 | 0 | 2 | 51:11 | 54 |
| ვიტ ჯორჯია | 20 | 17 | 1 | 2 | 40:10 | 52 |
| ზესტაფონი | 20 | 15 | 3 | 2 | 43:11 | 48 |
| ამერი | 20 | 12 | 2 | 6 | 36:21 | 38 |
| ოლიმპი | 20 | 10 | 4 | 6 | 18:15 | 34 |
| ბორჯომი | 20 | 8 | 4 | 8 | 25:24 | 28 |
| მესხეთი | 20 | 8 | 4 | 8 | 19:23 | 28 |
| მგლები | 20 | 8 | 3 | 9 | 21:20 | 27 |
| სიონი | 20 | 6 | 5 | 9 | 22:27 | 23 |
| მერანი | 20 | 5 | 1 | 14 | 11:35 | 16 |
| სპარტაკი | 20 | 4 | 4 | 12 | 8:23 | 16 |
| ლოკომოტივი | 20 | 3 | 5 | 12 | 11:26 | 14 |
| ბათუმი | 20 | 3 | 3 | 14 | 10:37 | 12 |
| დილა | 20 | 1 | 5 | 14 | 8:42 | 8 |

# უეფას თასი 2007-2008
## 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ზენიტი (რუსეთი) 0:1 ლევერკუზენი (გერმანია) (4:1)**
0:1 ბულიკინი (18)

**ხეტაფე (ესპანეთი) 3:3დ.დ.(1:1) ბაიერნი (გერმანია) (1:1)**
1:0 კონტრა (44), 1:1 რიბერი (89), 2:1 კასკერო (91), 3:1 ბრაულიო (93), 3:2, 3:3 ტონი (115, 120)

**პსვ (ჰოლანდია) 0:2 ფიორენტინა (იტალია) (1:1)**
0:1, 0:2 მუტუ (38, 53)

**სპორტინგი (პორტუგალია) 0:2 რეინჯერსი (შოტლანდია) (0:0)**
0:1 დარშევილი (60), 0:2 უიტეკერი (90)

### ნახევარფინალი

**ზენიტი (რუსეთი) — ბაიერნი (გერმანია)**
**რეინჯერსი (შოტლანდია) — ფიორენტინა (იტალია)**
*პირველი მატჩები გაიმართება 24 აპრილს, საპასუხოები — 1 მაისს*

# ფეხბურთი, როგორც კინო
## ამ მატჩს მკვლელობაღა აკლდა

**ეს იყო** მატჩი, რომლის მნახველსაც, შესაძლოა, ოდესმე თავისი სახელი დაავიწყდეს, მაგრამ ის, რაც „კოლიზეუმზე“ ნახა, გონებიდან არასოდეს წაეშლება.

ჰოლივუდურ თრილერთა სცენარისტებს არც კი დაესიზმრებათ სიუჟეტი, რომელიც „ხეტაფემ“ და „ბაიერნმა“ ერთად დაწერეს და ფეხბურთის ისტორიის წიგნში შეიტანეს.

გაძევება, გოლები ბოლო წუთზე, ერთი მეკარის შეცდომა, მეორის წასვლა შეტევაში, აურაცხელი განიავებული საგოლე მომენტი, „ბაიერნის“ სიხარული და „ხეტაფეს“ ცრემლები.

„მიქელ ლაუდრუპის გუნდი დღეს საუცხოო იყო — თქვა ოტმარ ჰიცფელდა — აშკარად ჩვენზე უკეთ ითამაშეს და ქებას იმსახურებენ“.

„ასეთი დრამატული მატჩისა და დასანანი მარცხის შემდეგ გონზე მოსვლა ძნელია, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩემი ფეხბურთელები იამაყებენ — განაცხადა ლაუდრუპმა — დე ლა რედის გაძევებისა და უჩეს ტრავმის მიუხედავად, გათანაბრებაც მოვახერხეთ და ძირითად დროშიც შეგვეძლო მოგება. 114 წუთი ათი კაცით ვითამაშეთ, რაც გმირობის ტოლფასია. ამ მატჩით „ხეტაფე“ ისტორიაში შევიდა“.

მასპინძლებს ტრავმის გამო ცენტრალური მცველი აკლდათ და მწვრთნელმა მის ადგილას საყრდენი რუბენ დე ლა რედი გაამწესა.

დე ლა რედს მცველობა დიდხანს არ.დასცალდა, რადგან მე-6 წუთზე მიროსლავ კლოზეს წაქცევა მსაჯმა ბოლო იმედის ჯარიმად შეუფასა და გააძევა.

საჯარიმო დარტყმა ფრანკ რიბერიმ შეასრულა, ბურთი ძელს მოხვდა, ტონიმ დამატებაზე შეაგდო, მაგრამ თამაშგარე იყო.

იტალიელს დე ლა რედის გაძევებამდეც ჰქონდა მომენტი, თუმც ბურთი კარის ხაზზე მოიგერიეს.

ამის მერე კრისტიან ლელს მართებდა გატანა და მეკარე პატო აბონდანსიერის შეცდომით ვერ ისარგებლა.

კოზმინ კონტრამ კი გამაოგნებელი რეიდი მოაწყო მარჯვენა ფლანგზე — საკუთარი საჯარიმოდან მეტოქისაში ამოჩნდა და კანს გაუტანა.

„ბაიერნმა“ ათკაცა მასპინძლებს პირველ ტაიმში ვერაფერი დააკლო და მეორეშიც არ ეტყობოდა „ხეტაფეს“, რომ რიცხობრივ უმცირესობაში იყო. სტუმრებმა ამაოდ უტრიალეს დამხვდურთა საჯარიმოს და კარშიც აბდაუბდა ურტყეს.

ის, რაც შეცვლაზე შესულ ბრაულიოს დაემართა, საცოდაობა იყო. კანთან პირისპირ გავიდა, გასცდა და ცარიელი კარის წინ რომ დარჩა, ფეხი გაუცურდა და წაიქცა.

89-წუთზე კი რიბერის ფეხი არ არევია, ისე ამოარტყა წიხლი ბურთს და აბონდანსიერისგან მარცხენა დაბალ კუთხეში ჩასვა.

დამატებითი დრო დაიწყო თუ არა, „ბაიერნს“ უმალ ორი გოლი გაუტანეს. კასკერომ საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად დაჰკრა და ძელგოლი გამოუვიდა, ბრაულიომ კი ახლოდან შეაგდო. ათკაცა გუნდისგან ეს მართლა სასწაული იყო.

ხეტაფელთა არგენტინელ მეკარეს კარგა ხანს არ დაავიწყდება მისთვის ავადსახსენებელი მომენტი, როცა დამატებული დროის მეორე ტაიმში ბურთი ხელიდან გაუვარდა და ტონის გოლი აჩუქა.

გასახსენებელი ექნება ოლივერ კანსაც, რადგან 38 წლის მეკარე ბოლო წუთზე მეტოქის საჯარიმოში ჩავიდა და ამხელა კაცის ძუნძული ლუკა ტონიმ დააფასა — თავით მესამე შეაგდო და „ბაიერნი“ ნახევარფინალში გაიყვანა.

ტონის ყოფილმა გუნდმა „ფიორენტინამ“ ამ სეზონში მეორე ჰოლანდიური კლუბი დაიფრინა — პირველ ეტაპზე „გრონინგენი“ პენალტებით დაამარცხა, პსვ-სთან კი საქმე პენალტებამდე არ მიიყვანა.

ადრიან მუტუმ თითქმის 30 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გაიტანა და მანვე მეორე ტაიმში სხვაობა ორამდე გაზარდა. მე-80 წუთზე სტუმართა კარში პენალტი დანიშნეს, მაგრამ სიმონსის დარტყმული ფრეიმ მოიგერია.

„დიდებულად ვითამაშეთ — თქვა ჩეზარე პრანდელიმ — ბიჭებს ვარჯიშზევე ეტყობოდათ, რომ აუცილებლად მოიგებდნენ და ამიტომ სრულიად მშვიდად ვიყავი“.

ლისაბონში კი რეინჯერსელმა სტივენ უიტეკერმა დაახლოებით ისეთი გოლი შეაგდო, როგორიც კონტრამ „ბაიერნთან“: ნახევარ მოედანზე მეტი გაიარა და საჯარიმოში მარჯვენიდან შესულმა, შორ კუთხეში გაიტანა. „ეს ჩემს კარიერაში საუკეთესო გოლი იყო“ — ხარობდა ნამატჩევს შოტლანდიელი. ხოლო უიტეკერამდე „სპორტინგი“ ჟან-კლოდ დარშევილმა დამწუხრა, როცა მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ანგარიში გახსნა.

პსვ-ელი სიმონსის მსგავსად, „ზენიტის“ კაპიტანს ანატოლი ტიმოშჩუკს „ლევერკუზენის“ მეკარე ადლერმა 85-ე წუთზე პენალტი აუღო და გერმანული კლუბი უეფას თასს გამარჯვებით დაემშვიდობა.

**მაჟა ხუციშვილი**



აბონდანსიერომ ტონის ბოლო დარტყმას ვერაფერი მოუხერხა

# ლეგისამინს ჯენტლმენობა დაავიწყდა

**პერუს** მოქმედმა ჩემპიონმა „დეპორტივო სან მარტინმა“ ურუგვაელი ფორვადი მარიო ლეგისამინი გუნდიდან გააგდო. მიზეზი წინა კვირას მომხდარი ინციდენტია — „ალიანსა ატლეტიკოსთან“ შეხვედრისას მატჩის არბიტრმა სილვია რეიესმა ლეგისამინი მინდვრიდან გააძევა, მან კი მოგვიანებით ქალბატონს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

„ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ რეიესს, არა მხოლოდ როგორც ქალბატონს, არამედ როგორც მსაჯს. ოფიციალურ პირებს კი პატივი უნდა ვცეთ. ლეგისამინი კლუბს ტოვებს, რადგან მან იმიჯი შეგვილახა“ — ნათქვამია კლუბის განცხადებაში.

# ბალოტა ფეხბურთს ვერ ელევა

**რომის** „ლაციოს“ ვეტერანმა მეკარემ მარკო ბალოტამ განაცხადა, რომ კარიერის გაგრძელებას სულ ცოტა ერთი სეზონით აპირებს. 44 წლის გოლკიპერი ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელია, ვისაც სერია A-სა და ჩემპიონთა ლიგაში უთამაშია.

„კიდევ ერთი წელი ვითამაშებ. ამით სიამოვნებას ვიღებ და კარიერის დასრულებაზე საერთოდ არ ვფიქრობ. არადა, წარმოიდგინეთ, წასვლას ჯერ კიდევ 10 წლის წინ ვგეგმავდი. ბედნიერი ვარ, რომ მაშინ აზრი შევიცვალე“ — აღნიშნა ბალოტამ.

# გრანოშეს გეგმები

**„ტრიესტინას“** ურუგვაელ ვარსკვლავ პაბლო გრანოშეთი, რომელსაც მიმდინარე სერია B-ში 20 გოლი აქვს გატანილი, სერია A-ს კლუბები დაინტერესდნენ. ყველაზე მეტად „პარმა“ და „ლაციო“ აქტიურობენ.

„იტალიაში იმ იმედით ჩამოვედი, რომ სერია A-ში ვითამაშებდი. „ლაციოს“ რიგებში თამაში ახდენილი ოცნება იქნება. ძალიან ტექნიკური არ ვარ, მაგრამ ძალა მაქვს. ჩემი კერპი ყოველთვის გაბრიელ ბატისტუტა იყო“ — აღნიშნა 24 წლის თავდამსხმელმა.

# ოლივეირა ვილიარეალში?

**ესპანური** პრესა იუწყება, რომ „ვილიარეალს“ „მილანისგან“ რიკარდუ ოლივეირას გამოსყიდვა სურს და ამისთვის 10-11 მილიონი ევრო გაუმზადებია. ბრაზილიელ თავდამსხმელს „როსონერიში“ კარიერა არ აეწყო და ამჟამად „სარაგოსაშია“ განათხოვრებული. პრიმერა-დივიზიონში დარჩენა თავად ფეხბურთელის სურვილიცაა.

# აკინოზე ნადირობენ

**მადრიდის** „რეალი“ „მურსიასა“ და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ნიჭიერი თავდამსხმელით დანი აკინოთია დაინტერესებული. 17 წლის ფეხბურთელს „მურსიასთან“ 2011 წლამდე აქვს კონტრაქტი და სამეფო გუნდის გარდა მას მრავალი სხვა მსურველიც ჰყავს — „ბარსელონა“, „სევილია“, „არსენალი“, „ჩელსი“, „ლივერპული“...

# ანრი ტრანსფერზე?

**„დეილი სტარს“** თუ ვენდობით, „ბარსელონა“ მომავალ ზაფხულს ტიერი ანრის ტრანსფერზე დააყენებს, რადგან ლონდონის „არსენალის“ ყოფილი ლიდერი კატალონიელებს ვერაფრით ვერ მოერგო. 30 წლის თავდამსხმელის ხელში ჩაგდების სურვილი უკვე გამოუთქვამთ „ჩელსის“, „ტოტენჰემს“, „ნიუკასლს“, „სიტის“, „ვესტ ჰემსა“ და ამერიკულ „სიეტლს“.

# პეკერმანი მექსიკაში

**უგო სანჩესის** წასვლის შემდეგ, მექსიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი კვლავ ვაკანტურია. შესაძლოა, იგი არგენტინის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა, 58 წლის ხოსე პეკერმანმა დაიკავოს, რომელიც ამჟამად მექსიკურ „ტოლუკას“ წვრთნის. ქვეყნის წამყვანი კლუბები და პრესის გარკვეული ნაწილი მას უჭერს მხარს. მექსიკის ფეხბურთის ფედერაციას ყველაზე მეტად ხავიერ აგირეს დაყოლიება სურს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სპეციალისტი მადრიდის „ატლეტიკოში“ დარჩება.

**ძოძი ძანძელაძე**

## საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXII ტური

**მონპელიე 2:1 ბასტია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლე ავრი | 31 | 20 | 8 | 3 | 57:28 | 68 |
| ნანტი | 31 | 18 | 9 | 4 | 48:25 | 63 |
| ტრუა | 31 | 15 | 8 | 8 | 40:31 | 53 |
| გრენობლი | 31 | 14 | 9 | 8 | 38:27 | 51 |
| კლერმონი | 31 | 12 | 12 | 7 | 44:35 | 48 |
| მონპელიე | 32 | 12 | 10 | 10 | 35:28 | 46 |
| ბასტია | 32 | 13 | 7 | 12 | 40:34 | 46 |
| სედანი | 31 | 11 | 11 | 9 | 39:37 | 44 |
| ანჟერი | 31 | 11 | 10 | 10 | 30:30 | 43 |
| ბრესტი | 31 | 11 | 10 | 10 | 31:35 | 43 |
| გენგამი | 31 | 10 | 11 | 10 | 30:29 | 41 |
| აიაჩო | 31 | 10 | 10 | 11 | 29:36 | 40 |
| შატორუ | 31 | 9 | 10 | 12 | 29:33 | 37 |
| რეიმსი | 31 | 10 | 7 | 14 | 37:45 | 37 |
| ბულონი | 31 | 10 | 6 | 15 | 33:44 | 36 |
| ამიენი | 31 | 8 | 10 | 13 | 37:42 | 34 |
| დიჟონი | 31 | 7 | 12 | 12 | 26:42 | 33 |
| ნიორი | 31 | 8 | 7 | 16 | 31:43 | 31 |
| ლიბურნი | 31 | 7 | 9 | 15 | 36:46 | 30 |
| გენიონი | 31 | 2 | 10 | 19 | 28:48 | 16 |

## შვედეთი

ალსვენსკა. III ტური

**აიკ 1:0 სუნდსვალი**
**გაის 2:0 ჰამარბი**
**ლიუნგსკილე 0:2 ჰელსინგბორგი**
**მალმიო 1:1 ელფსბორგი**
**იორებრო 0:1 კალმარი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰელსინგბორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:1 | 7 |
| კალმარი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| იურგორდენი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 7 |
| ჰამარბი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| გიოტებორგი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| ელფსბორგი | 3 | 1 | 2 | 0 | 5:2 | 5 |
| ჰალმსტადი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ტრელებორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| გაის | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| აიკ | 3 | 1 | 1 | 1 | 1:3 | 4 |
| გეფლე | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 3 |
| მალმიო | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| იორებრო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ნორჩიოპინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ლიუნგსკილე | 3 | 0 | 0 | 3 | 1:6 | 0 |
| სუნდსვალი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |

# კრაუჩმა რომა უარყო

**აჟლაჟუდა** ინგლისელ თავდამსხმელ პიტერ კრაუჩს ბოლო პერიოდში „რომას" უკავშირებდნენ, მაგრამ ფეხბურთელის აგენტმა ჯონათან ბარნეტმა ამ ტრანსფერის შესაძლებლობა გამორიცხა.

„უპირველესად, ის უნდა გვახსოვდეს, რომ პიტერს „ლივერპულთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აქვს და იგი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში თამაშობს. მას ძალიან გაუჭირდება „ენფილდის" დატოვება და ამაზე არც ფიქრობს. უბრალოდ, თქვა, სეზონის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელებთან დავსხდებით და დავილაპარაკებთო. რაც შეეხება „რომას", მასთან არანაირი კონტაქტი არ გვქონია. პრემიერლიგა კი სერია A-ზე გაცილებით კონკურენტუნარიანია და კრაუჩმა იცის, რომ „ლივერპულიდან" „რომაში" გადასვლა უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება" — თქვა ბარნეტმა.

**ძოძი ძანდელაკი**



# ეს კარგად ნაცნობი სიტყვა: გემბლერი



დევიდ ბენტლი

**დევიდ ბენტლიმ** აღიარა, რომ გემბლერი იყო და დღედაღამ ტოტალიზატორთა ქვითრებს ავსებდა.

მოგეხსენებათ, აზარტული თამაშებისა და ნიძლავების მანია ავადმყოფობად ითვლება და როგორც სენს, ისე მკურნალობენ. ბენტლიმაც იმკურნალა და... აგერ უკვე სამი წელიწადია, ერთი ქვითარიც კი არ შეუვსია.

„ბოლოს ისეთ მდგომარეობამდე მივედი, რომ ქვითრის შევსების მეტზე არაფერზე ვფიქრობდი. ერთადერთი, რაც ამ ცხოვრებაში მინდოდა ტოტალიზატორში ფსონის ჩასვლა იყო, ასე ცხოვრება კი არ შეიძლება — უამბო „ბლექბერნის" ვარსკვლავმა ჟურნალისტებს — თავიდან ამ ყველაფერს ზედაპირულად ვუყურებდი, მაგრამ სანიძლაო საქმემ თანდათან ჩამითრია და თან ისე, რომ ვერაფერს გავხდი, წინააღმდეგობა ველარ გავწიე. სულ მინდოდა შემდეგ და შემდეგ დონეზე გადავსულიყავი, ასეთი ცხოვრების მიმდევარი კი ბოლოს ყველაფრის დაკარგვის საშიშროების წინაშე რჩება. დღის განმავლობაში რამდენ ნიძლავს ჩავდიოდი? როდესაც ცხენოსნობაზე ვნიძლავდებოდი ეს დოღების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. ყოფილა, დღის განმავლობაში 50 ან 100 ნიძლავი დამიდია. გაგეცინებათ, მაგრამ აბსოლუტურად ყველაფერზე ვნიძლავდებოდი, ცხენოსნობაზე, ძაღლების შეჯიბრებებზე, პოკერსა და ბინგოზე. დილით ვიღვიძებდი და ფეხბურთზე ფიქრის მაგივრად ნიძლავზე ვიწყებდი ფიქრს. რაც უფრო მეტი შემოსავალი მქონდა, მით უფრო მეტ ნიძლავს ვდებდი. ადამიანი 100 გირვანქის მოგებით არასდროს კმაყოფილდება ათასები და მილიონები უნდა".

საბედნიეროდ, 23 წლის ფეხბურთელმა ოჯახის ჩარევითა და თხოვნით სნეულებას სძლია.

„ამის გაკეთება ძნელი იყო, მაგრამ მიხარია, რომ შევძელი" — ამბობს ბლექბერნელი.

**ბაბუნა ძიდია**

## ინგლისი

# ჩემპიონის კალენდარი: ზენიტესი, ზენიტესი, ზენიტესი და ფერგიუსონი

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ბირმინგემი | : | ევერტონი |
| ბოლტონი | : | ვესტ ჰემი |
| დერბი | : | ასტონ ვილა |
| პორტსმუთი | : | ნიუკასლი |
| რედინგი | : | ფულემი |
| სანდერლენდი | : | სიტი |
| ტოტენჰემი | : | მიდლსბრო |
| **ხვალ** | | |
| ლივერპული | : | ბლექბერნი |
| მანჩესტერი | : | არსენალი |
| **ზეგ** | | |
| ჩელსი | : | უიგანი |

**„ლივერპულთან"** ზედიზედ სამი მატჩის შემდეგ, „არსენალს" ამოსუნთქვის საშუალება არ ექნება, რადგან ხვალ „მანჩესტერს" სტუმრად დაეჯახება.

„მეთოფეები" ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნენ, მაგრამ პრემიერლიგის მოგების მცირე შანსს ებღაუჭებიან.

თებერვალში ასოციაციის თასზე არსენ ვენგერის გუნდი „ოლდ ტრეფორდზე" 0:4 დამარცხდა, ხოლო ჩემპიონატის პირველ წრეში „მანჩესტერს" შინ 2:2 დაუზავდა.

„არსენალს" ვერ დაეხმარება მატიე ფლამინი, რომელიც „ლივერპულთან" მატჩში დაშავდა და სამკვირიანი უქმობა მოუწევს. ნახევარდაცვაში მის ადგილს ჟილბერტუ სილვა დაიკავებს.

ტრავმირებულია მარჯვენა მცველი ბაქარი სანიაც, ხოლო რობინ ვან პერსი ალბათ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

მასპინძლებს ნემანია ვიდიჩი დააკლდებათ, ხოლო რიო ფერდინანდის თამაში საეჭვოა. კრიშტიანუ რონალდუმ „რომასთან" მატჩი გამოტოვა და დასვენებული შეუტევს.

გუნდებს შორის სხვაობა ექვსი ქულაა. თუ „მანჩესტერი" მოიგებს, „მეთოფეებს" საბოლოოდ ჩამოიცილებს საჩემპიონო გზიდან, ხოლო თუ „არსენალი" იმარჯვებს, პრემიერლიგის ფინიში კიდევ უფრო საინტერესო გამოვა.

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გასვლით გალაღებული „ლივერპული" „ბლექბერნს" უმასპინძლებს. ამ გუნდების ბოლო ექვს მატჩში ხუთ გოლზე მეტი არ გასულა და ეგებ ახლა მაინც აღარ იძუნწონ. დამხვდურებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ მასკერანო, ხოლო პენანტი, კიუელი და აგერი კი ტრავმირებულნი არიან.

„ბლექბერნში" დევიდ დანის, სტივენ რიდისა და ჯეისონ რობერტსის თამაშია საეჭვო. მათი ამბავი მატჩის დღეს გადაწყდება.

„ტოტენჰემმა" ბოლო სამ სეზონში „მიდლსბროს" შინ სამჯერვე მოუგო და ამ სერიის გაგრძელებას ეცდება. ხუანდე რამოსის გუნდმა ორი კვირის წინ სახლში „ნიუკასლისგან" 1:4 იგემა და ამ სირცხვილს ჩამორეცხვა სჭირდება.

მასპინძელთა მეკარე პოლ რობინსონი საამატჩოდ გამოკეთებას ალბათ ვერ მოასწრებს. ტრავმის გამო „ტოტენჰემს" იუნეს ქაბული, ლედლი კინგი და გარეთ ბეილიც ვერ დაეხმარებიან.

„მიდლსბრომ" გასულ ტურში „მანჩესტერთან" 2:2 ითამაშა და აფონსუ ალვეშმა დუბლი შეასრულა. ბრაზილიელი დღესაც ძირითად შემადგენლობაში იქნება, რადგან პრემიერლიგურ გოლებს გემო გაუგო. იგი იანვარში „ჰერენვენიდან" იყიდეს და „მანჩესტერამდე" არ გაეტანა.

„მიდლსბროს" დაშავებული რობერტ ჰუთი და აჰმედ ჰოსამ მიდო დააკლდებიან, მოჰამედ შავქი და ფაბიო როშემბაკი კი გამოჯანმრთელდნენ.

„პორტსმუთმა" სამშაბათს სტუმრად „ვესტ ჰემი" დაამარცხა და დღეს „ნიუკასლს" დაუხვდება, რომელიც გვიან, მაგრამ კევინ კიგანის ხელში გაცოცხლდა და ზედიზედ სამი მატჩი მოიგო.

უფრო უკეთეს ფორმაში არიან პორტელები, რადგან ბოლო რვა ტურში ექვსჯერ იმარჯვეს და მეექვსე ადგილს უწევს.

მასპინძლებს, შესაძლოა, ჯონ უტაკა და ლასანა დიარა დააკლდეთ, ხოლო „ნიუკასლს" ემრე, კასაპა, მილნერი, გივენი და კარი ვერ დაეხმარებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | 2:0 | | 3:0 | 2:1 | 2:0 | 4:0 | 2:0 | 1:2 | | 1:0 | 6:0 | 1:0 | 4:1 | 4:0 | 0:0 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 4:1 | 33 | 24 | 5 | 4 | 70:17 | 77 | 15 | 1 | 1 | 41:5 | 46 | 9 | 4 | 3 | 29:12 | 31 |
| 2 | ჩელსი | | | 2:1 | 0:0 | 1:1 | 1:0 | 4:4 | 0:0 | 6:0 | 1:0 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 1:0 | | 1:0 | 3:2 | | 0:0 | 6:1 | 33 | 22 | 8 | 3 | 58:23 | 74 | 11 | 5 | 0 | 32:10 | 38 | 11 | 3 | 3 | 26:13 | 36 |
| 3 | არსენალი | 2:2 | 1:0 | | 1:1 | | 3:1 | 1:1 | 2:0 | 1:0 | 2:0 | 2:1 | 3:0 | 3:2 | 1:1 | 2:0 | | 1:1 | 2:0 | 2:1 | 5:0 | 33 | 20 | 11 | 2 | 63:27 | 71 | 12 | 5 | 0 | 34:11 | 41 | 8 | 6 | 2 | 29:16 | 30 |
| 4 | ლივერპული | 0:1 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 4:1 | 2:2 | | | 4:0 | 2:2 | 3:0 | 3:0 | 3:2 | 1:1 | 2:1 | 0:0 | 4:0 | 2:0 | 6:0 | 33 | 17 | 12 | 4 | 57:25 | 63 | 10 | 6 | 1 | 39:12 | 36 | 7 | 6 | 3 | 18:13 | 27 |
| 5 | ევერტონი | 0:1 | | 1:4 | 1:2 | | 3:1 | | 1:1 | 1:0 | 1:1 | 0:0 | | 7:1 | 2:0 | 2:1 | 1:0 | 3:1 | 2:0 | 3:0 | 1:0 | 33 | 18 | 6 | 9 | 49:27 | 60 | 10 | 3 | 3 | 29:13 | 33 | 8 | 3 | 6 | 20:14 | 27 |
| 6 | პორტსმუთი | 1:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 0:0 | | 2:0 | | 0:0 | 0:0 | 0:1 | | 1:0 | 0:1 | 2:0 | 7:4 | 4:2 | 3:1 | | 3:1 | 33 | 16 | 8 | 9 | 47:33 | 56 | 7 | 7 | 2 | 24:12 | 28 | 9 | 1 | 7 | 23:21 | 28 |
| 7 | ასტონ ვილა | 1:4 | 2:0 | 1:2 | 1:2 | 2:0 | 1:3 | | 1:1 | 1:1 | 1:0 | 2:1 | 4:1 | 0:1 | 1:1 | | 3:1 | | 4:0 | 2:1 | 2:0 | 33 | 14 | 10 | 9 | 56:44 | 52 | 9 | 3 | 5 | 29:19 | 30 | 5 | 7 | 4 | 27:25 | 22 |
| 8 | ბლეკბერნი | | 0:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | 0:1 | 0:4 | | 1:0 | 0:1 | 1:1 | 3:1 | 1:0 | 1:1 | 3:1 | 4:2 | 2:1 | 4:1 | 1:1 | | 33 | 13 | 12 | 8 | 43:39 | 51 | 7 | 6 | 4 | 22:17 | 27 | 6 | 6 | 4 | 21:22 | 24 |
| 9 | სიტი | 1:0 | 0:2 | 1:3 | 0:0 | 0:2 | | 1:0 | 2:2 | | 1:1 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 3:1 | 0:0 | 2:1 | 1:0 | 4:2 | | 1:0 | 33 | 13 | 10 | 10 | 37:39 | 49 | 10 | 4 | 3 | 23:16 | 34 | 3 | 6 | 7 | 14:23 | 15 |
| 10 | ვესტ ჰემი | 2:1 | 0:4 | 0:1 | 1:0 | 0:2 | 0:1 | | 2:1 | 0:2 | | 1:1 | | 3:1 | 3:0 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 2:1 | | 33 | 12 | 8 | 13 | 35:40 | 44 | 6 | 5 | 5 | 18:19 | 23 | 6 | 3 | 8 | 17:21 | 21 |
| 11 | ტოტენჰემი | 1:1 | 4:4 | 1:3 | | 1:3 | 2:0 | 4:4 | 1:2 | 2:1 | 4:0 | | 1:4 | 2:0 | | 4:0 | 6:4 | 2:3 | | 5:1 | 4:0 | 33 | 10 | 10 | 13 | 62:56 | 40 | 8 | 3 | 5 | 44:30 | 27 | 2 | 7 | 8 | 18:26 | 13 |
| 12 | ნიუკასლი | 1:5 | | 1:1 | 0:3 | 3:2 | 1:4 | 0:0 | 0:1 | 0:2 | 3:1 | 3:1 | | | 1:1 | 1:0 | 3:0 | 2:1 | 0:0 | 2:0 | 2:2 | 33 | 10 | 8 | 15 | 40:58 | 38 | 7 | 5 | 5 | 23:24 | 26 | 3 | 3 | 10 | 17:34 | 12 |
| 13 | სანდერლენდი | 0:4 | 0:1 | | 0:2 | 0:1 | 2:0 | 1:1 | 1:2 | | 2:1 | 1:0 | 1:1 | | | 2:0 | 2:1 | 2:0 | 3:1 | 1:1 | 1:0 | 33 | 10 | 6 | 17 | 32:50 | 36 | 8 | 3 | 5 | 19:16 | 27 | 2 | 3 | 12 | 13:34 | 9 |
| 14 | მიდლსბრო | 2:2 | 0:2 | 2:1 | 1:1 | 0:2 | | 0:3 | 1:2 | | 1:2 | 1:1 | 2:2 | 2:2 | | 1:0 | 0:1 | 2:0 | | 1:0 | 1:0 | 33 | 8 | 11 | 14 | 30:47 | 35 | 5 | 5 | 6 | 17:21 | 20 | 3 | 6 | 8 | 13:26 | 15 |
| 15 | უიგანი | | 0:2 | 0:0 | 0:1 | 1:2 | 0:2 | 1:2 | 5:3 | 1:1 | 1:0 | | 1:0 | 3:0 | 1:0 | | | 2:0 | 1:0 | 1:1 | 2:0 | 33 | 9 | 7 | 17 | 30:47 | 34 | 8 | 3 | 5 | 20:14 | 27 | 1 | 4 | 12 | 10:33 | 7 |
| 16 | რედინგი | 0:2 | 1:2 | 1:3 | 3:1 | 1:0 | 0:2 | 1:2 | 0:0 | 2:0 | 0:3 | | 2:1 | 2:1 | 1:1 | 2:1 | | 2:1 | 0:2 | | 1:0 | 33 | 9 | 5 | 19 | 37:61 | 32 | 8 | 2 | 7 | 19:22 | 26 | 1 | 3 | 12 | 18:39 | 6 |
| 17 | ბირმინგემი | 0:1 | 0:1 | 2:2 | | | 0:2 | 1:2 | | 3:1 | 0:1 | 4:1 | 1:1 | 2:2 | 3:0 | 3:2 | 1:1 | | 1:0 | 1:1 | 1:1 | 33 | 7 | 9 | 17 | 38:51 | 30 | 5 | 6 | 5 | 23:19 | 21 | 2 | 3 | 12 | 15:32 | 9 |
| 18 | ბოლტონი | 1:0 | 0:1 | 2:3 | 1:3 | 1:2 | 0:1 | 1:1 | 1:2 | 0:0 | | 1:1 | 1:3 | | 0:0 | 4:1 | 3:0 | 3:0 | | 0:0 | 1:0 | 33 | 6 | 8 | 19 | 30:52 | 26 | 5 | 5 | 7 | 20:18 | 20 | 1 | 3 | 12 | 10:34 | 6 |
| 19 | ფულემი | 0:3 | 1:2 | 0:3 | | 1:0 | 0:2 | 2:1 | 2:2 | 3:3 | 0:1 | 3:3 | 0:1 | 1:3 | 1:2 | 1:1 | 3:1 | | 2:1 | | 0:0 | 33 | 4 | 12 | 17 | 30:56 | 24 | 4 | 5 | 8 | 20:29 | 17 | 0 | 7 | 9 | 10:27 | 7 |
| 20 | დერბი | 0:1 | 0:2 | | 1:2 | 0:2 | 2:2 | | 1:2 | 1:1 | 0:5 | 0:3 | 1:0 | 0:0 | 0:1 | 0:1 | | 1:2 | 1:1 | 2:2 | | 33 | 1 | 8 | 24 | 16:68 | 11 | 1 | 5 | 10 | 10:27 | 8 | 0 | 3 | 14 | 6:41 | 3 |



# ნიგერია ამოდუს ჩაბარდა

**ნიგერიის** ნაკრები შაიბუ ამოდუს ჩააბარეს, რომელიც „სუპერარწივებს“ აქამდე ორჯერ ედგა სათავეში. მისი თანაშემწე დანიელ ამოკაჩი იქნება. შეგახსენებთ, რომ ამ პოსტიდან არცთუ დიდი ხნის წინ გერმანელი ბერტი ფოგთსი დაითხოვეს განაში გამართულ აფრიკის ეროვნებათა თასზე არადამაჯერებელი თამაშისთვის.

„ჩვენ უნდა გავიდეთ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და მასზე, ისევე როგორც აფრიკის თასზე, შთამბეჭდავად უნდა ვითამაშოთ. ამოდუს სწორედ ეს ევალება“ — თქვა ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯომარემ აბდულაი სანი ლულუმ.

**კოკი კანდელაკი**

# ძველს სჯობს ლელი

## ახალგაზრდა მიუნხენელს მილანიდან აკვირდებიან

**გერმანულმა** გამოცემა Kicker-მა გაავრცელა ცნობა, რომ იტალიური „მილანი“ მიუნხენის „ბაიერნის“ სასიყვარულო სკანდალით ცნობილი მცველის კრისტიან ლელის ყიდვას აპირებს. გერმანული ფეხბურთის მოყვარულთ კარგად მოეხსენებათ, რომ მიმდინარე სეზონში ლელმა ძალიან მოუმატა და ბავარიელთა ძირითად შემადგენლობაშიც უკვე ხშირად ხვდება. არადა, „ბაიერნის“ ძირითადში რომ მოხვდე, სერიოზულ კონკურენციას უნდა გაუძლო: მარსელ იანსენი, ვილი სანიოლი და ფილიპ ლამი — აი, ლელის კონკურენტები.

Kicker-ის ცნობაზე თავად ლელმა კომენტარი არ გააკეთა, შესაძლოა, ვითარების მომწიფებას ელის, მილანელთა სწრაფვა ახალი მცველებისადმი კი, ვფიქრობთ, გასაგებია — კახა კალაძის გარემოცვა საკმაოდ დაბერებულია და გადახალისებას მოითხოვს.

**კაკუნა კედია**





# სად არის ლოთარ მათეუსის ადგილი?

**გერმანული** ფეხბურთის ყოფილმა ვარსკვლავმა, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის კაპიტანმა, დიდი კარიერის დასრულების შემდეგ, უნგრეთის ნაკრებისა და ავსტრიული „ზალცბურგის“ მწვრთნელმა ლოთარ მათეუსმა „ინტერში“ სტაჟირების შემდეგ განაცხადა, რომ სიამოვნებით გააგრძელებდა იტალიაში მუშაობას:

„პროფესიონალიზმი, უკიდურესი ყურადღება და დისციპლინა — აი, მილანური კლუბის მთავარი თვისებები. აქ თავს შინაურად ვგრძნობ, თავად იტალია კი საუცხოო ქვეყანაა. ამ ქვეყანაში ცხოვრებას არაფერი სჯობს. ერთი სიტყვით, მინდა ჩემი კარიერა დიდ ევროპულ კლუბში გავაგრძელო. რა აუცილებელია, მაინცდამაინც გერმანიაში დავრჩე?“

მილანელი „შავ-ლურჯების“ ყოფილმა ფეხბურთელმა ეს სიტყვები ცნობილ იტალიურ გაზეთ „ლა გაძეტა დელო სპორტს“ უთხრა.

**კაკუნა კედია**

| XXVIII ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| ნიურნბერგი | : | ვოლფსბურგი |
| წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა | | |
| **დღეს** | | |
| ვერდერი | : | შალკე |
| ბოხუმი | : | ჰერტა |
| კოტბუსი | : | არმინია |
| ჰანოვერი | : | აინტრახტი |
| კარლსრუე | : | ჰანზა |
| ჰამბურგი | : | დუისბურგი |
| **ხვალ** | | |
| ბაიერნი | : | დორტმუნდი |
| ლევერკუზენი | : | შტუტგარტი |

# გერმანია

# ყველას უნდა ლიგაში

## მეორე ადგილი ზოგისთვის პირველია

**„ხეტაფესთან“** 120 წუთიანი ბრძოლის შემდეგ, „ბაიერნს“ ხვალ „დორტმუნდთან“ ჭიდაობაც მოუწევს. მართალია, დორტმუნდელები ცხრილის ქვედა ნახევარში არიან, მაგრამ ამ გუნდების შეხვედრა ყოველთვის განსაკუთრებულია და გამონაკლისი ალბათ ამჯერადაც არ იქნება.

მიუნხენელებს დისკვალიფიკაციის გამო მარკ ვან ბომელი დააკლდებათ, ვან ბუიტენი და ჰამით ალთინთოფი კი ტრავმირებულნი არიან.

„დორტმუნდს“ ჯანზე ჰყავს ყველა ფეხბურთელი, რომლებმაც წინა ტურში „ლევერკუზენს“ 2:1 მოუგეს.

ბრემენში და ლევერკუზენში ექვსქულიანი მატჩები გაიმართება. მეორე ადგილისთვის დიდი ომია გაჩაღებული, რადგან ჩემპიონთა ლიგაში პირდაპირ მოხვედრის მსურველი ბევრია, საგზური კი ერთი.

„ვერდერი“ „შალკეს“ უმასპინძლებს და თუ მოუგებს, გადაასწრებს.

„ხუმარებს“ უკვე ხუთი ტურია, არ წაუგიათ, „მუსიკოსებმა“ კი ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია ერთი კვირის წინ ბერლინში გამარჯვებით შეწყვიტეს. „ჰერტასთან“ მატჩში გოლის გამტანი ტიმ ბოროვსკი ტრავმირებული იყო, მაგრამ მომჯობინდა და დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნება.

„აუცილებლად უნდა მივაყოლოთ მეორე მოგება, რაც ცხრილში მდგომარეობას საგრძნობლად გაგვიუმჯობესებს — თქვა ბოროვსკიმ — მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში თამაში ისევ გვსურს და საამისოდ მეორე დაგილი გვჭირდება“.

ეს მატჩი განსაკუთრებულია ვერდერელი მესუთ იოზილისთვის, რომელიც „შალკედან“ „ვერდერში“ ამ ზამთარს სკანდალით გადავიდა. თომას შააფმა „ჰერტასთან“ შეხვედრის შემდეგ ბიჭი შეაქო და შესაძლოა, დღეს ძირითად შემადგენლობაში ათამაშოს.

„შალკეს“ ტრავმის გამო ივან რაკიტიჩი დააკლდება, ხოლო „ვერდერს“ — დანიელ იენსენი.

არანაკლები ჯახი გაიმართება ლევერკუზენში, სადაც ასევე მეორე ადგილის მაძიებლები შეხვდებიან. უეფას თასიდან გამოვარდნილი „ფარმაცევტები“ არმინ ფეეს „შტუტგარტს“ დაუხვდებიან, რომელსაც 16 თებერვლის აქეთ ბუნდესლიგაში არ წაუგია და რვა მატჩიდან ექვსი მოიგო.

საპირისპირო სტატისტიკა აქვს „ლევერკუზენს“ — ბოლო სამ ტურში დამარცხდა და მეექვსე ადგილზე ჩამოცოცდა.

| 12028 | ჰალი-ქპრ | 1.90 | 1.70 |
| 12029 | იფსვიჩი-ნორვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12030 | ლესტერი-კოლჩესტერი | 1.80 | 1.80 |
| 12096 | დინამო მ-სპარტაკი მ | 1.70 | 1.90 |
| 12165 | ვერდერი-შალკე | 2.00 | 1.60 |
| 12166 | ბაიერნი-დორტმუნდი | 2.00 | 1.60 |
| 12168 | ბოხუმი-ჰერტა | 1.90 | 1.70 |
| 12169 | კოტბუსი -არმინია | 1.70 | 1.90 |
| 12170 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1.80 | 1.80 |
| 12172 | კარლსრუე-ჰანზა | 1.70 | 1.90 |
| 12173 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.90 | 1.70 |
| 12175 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.90 | 1.70 |
| 12178 | ჰოფენჰაიმი-ალემანია | 1.80 | 1.80 |
| 12179 | მიონხენგლადბახი-ფიურტი | 1.80 | 1.80 |
| 12181 | ოფენბახი-მიუნხენი 1860 | 1.80 | 1.80 |
| 12184 | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 1.90 | 1.70 |
| 12205 | ალტახი-აუსტრია | 1.80 | 1.80 |
| 12206 | მატერსბურგი-ზალცბურგი | 1.80 | 1.80 |
| 12208 | შტურმი-ტიროლი | 1.90 | 1.70 |
| 12210 | რიდი-ლინცერი | 1.70 | 1.90 |
| 12219 | სტ.გალენი-იანგ ბოიზი | 2.00 | 1.60 |
| 12221 | თუნი-ქსამაქსი | 1.70 | 1.90 |
| 12222 | ლუცერნი-გრასჰოპერი | 1.70 | 1.90 |
| 12223 | ციურიხი-აარაუ | 1.90 | 1.70 |
| 12224 | ბაზელი-სიონი | 2.10 | 1.50 |
| 12235 | ჯენოა-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 12236 | ნაპოლი-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 12237 | ლივორნო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 12238 | პალერმო-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 12239 | ინტერი-ფიორენტინა | 1.80 | 1.80 |
| 12240 | იუვენტუსი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 12241 | ემპოლი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 12242 | უდინეზე-რომა | 1.80 | 1.80 |
| 12244 | რეჯინა-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 12245 | ლაციო-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 12246 | რავენა-პიაჩენცა | 1.70 | 1.90 |
| 12247 | ჩეზენა-რიმინი | 1.70 | 1.90 |
| 12248 | ბარი-სპეცია | 1.70 | 1.90 |
| 12250 | გროსეტო-ტრიესტინა | 1.60 | 2.00 |
| 12251 | ფროზინონე-ასკოლი | 1.60 | 2.00 |
| 12252 | ვიჩენცა-აველინო | 1.70 | 1.90 |
| 12253 | კიევო-ბოლონია | 1.70 | 1.90 |
| 12254 | ალბინოლეფე-ბრეშა | 1.70 | 1.90 |
| 12255 | მოდენა-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 12256 | პიზა-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 12275 | ალმერია-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 12277 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1.80 | 1.80 |
| 12278 | ბეტისი-ლევანტე | 1.80 | 1.80 |
| 12279 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.70 | 1.90 |
| 12280 | უელვა-ბარსელონა | 1.80 | 1.80 |
| 12282 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 12283 | დეპორტივო-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 12284 | ვალენსია-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 12285 | რეალი-მურსია | 1.90 | 1.70 |
| 12287 | მალიორკა-სევილია | 1.80 | 1.80 |
| 12288 | სელტა-სოსიედადი | 1.50 | 2.10 |
| 12289 | ჰერკულესი-კასტელონი | 1.60 | 2.00 |
| 12290 | კორდობა-ეიბარი | 1.60 | 2.00 |
| 12291 | ალავესი-ეხიდო | 1.50 | 2.10 |
| 12292 | სალამანკა-ლას პალმასი | 1.60 | 2.00 |
| 12293 | ტენერიფე-ელჩე | 1.60 | 2.00 |
| 12294 | გრანადა -სერესი | 1.60 | 2.00 |
| 12295 | კადისი-ალბასეტე | 1.50 | 2.10 |
| 12296 | სევილია ბ-ნუმანსია | 1.60 | 2.00 |
| 12297 | მალაგა -სპორტინგი | 1.60 | 2.00 |
| 12298 | ტარაგონა-ფეროლი | 1.60 | 2.00 |
| 12299 | მონაკო-ტულუზა | 1.50 | 2.10 |
| 12300 | ლე მანი-ოსერი | 1.50 | 2.10 |
| 12301 | ბორდო-კაენი | 1.70 | 1.90 |
| 12303 | ლორიანი-ლანსი | 1.50 | 2.10 |
| 12304 | მეცი-მარსელი | 1.60 | 2.00 |
| 12305 | ლილი-ნანსი | 1.50 | 2.10 |
| 12306 | პსჟ-ნიცა | 1.50 | 2.10 |
| 12307 | ლიონი-რენი | 1.80 | 1.80 |
| 12309 | სოშო-სტ.ეტიენი | 1.50 | 2.10 |
| 12310 | ვალენსიენი-სტრასბური | 1.60 | 2.00 |
| 12322 | შარლერუა-გენკი | 1.80 | 1.80 |
| 12323 | ბრიუგე-სერკლი | 1.90 | 1.70 |
| 12324 | დენდერი-ბრიუსელი | 1.90 | 1.70 |
| 12327 | მეხელენი-გენტი | 1.90 | 1.70 |
| 12328 | მუსკრონი-ვარეგემი | 1.90 | 1.70 |
| 12329 | მონსი-რუზელარე | 1.70 | 1.90 |
| 12330 | სტ.ტრუიდენი-ვესტერლო | 1.70 | 1.90 |
| 12331 | ანდერლეხტი-ბევერენი | 1.90 | 1.70 |
| 12343 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 2.10 | 1.50 |
| 12344 | პსვ-ტვენტე | 1.90 | 1.70 |
| 12345 | ექსელსიორი-ალკმაარი | 2.10 | 1.50 |
| 12346 | ჰერაკლესი-ბრედა | 2.00 | 1.60 |
| 12348 | გრააფშაპი-უტრეხტი | 2.10 | 1.50 |
| 12349 | ნაიმეგენი-ვიტესი | 2.00 | 1.60 |
| 12350 | როდა-ვენლო | 2.20 | 1.40 |
| 12351 | გრონინგენი-აიაქსი | 2.10 | 1.50 |
| 12353 | სპარტა-ჰერენვენი | 2.20 | 1.40 |
| 12364 | გიმარაეში-ბოავისტა | 1.50 | 2.10 |
| 12366 | ნასიონალი-ფერეირა | 1.60 | 2.00 |
| 12367 | ნავალი-მარიტიმუ | 1.60 | 2.00 |
| 12368 | ბრაგა-ლეირია | 1.70 | 1.90 |
| 12369 | სპორტინგი-ლეიშოეში | 1.80 | 1.80 |
| 12370 | სეტუბალი-პორტუ | 1.70 | 1.90 |
| 12374 | ამადორა-ბელენენსეში | 1.50 | 2.10 |
| 12383 | ლარისა-ერგოტელისი | 1.60 | 2.00 |
| 12384 | ოფი-პანიონიოსი | 1.60 | 2.00 |
| 12385 | პანათინაიკოსი-არისი | 1.50 | 2.00 |
| 12386 | პაოკ-აეკ | 1.60 | 2.00 |
| 12387 | ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 1.60 | 2.00 |
| 12391 | კასიმპაშა-რიზე | 1.70 | 1.90 |
| 12392 | ანკარა-ფენერბაჰჩე | 1.90 | 1.70 |
| 12393 | გენჩლერბირლიგი-გაზიანთეფი | 1.60 | 2.00 |
| 12395 | დენიზლი-ისტანბული | 1.70 | 1.90 |
| 12396 | მანისა-ანკარაგუჯუ | 1.70 | 1.90 |
| 12397 | კაისერი-სივასპორი | 1.70 | 1.90 |
| 12398 | გალათასარაი-ტრაბზონი | 1.90 | 1.70 |
| 12399 | კონია-ბურსა | 1.70 | 1.90 |
| 12400 | ცსკა-ნალჩიკი | 1.80 | 1.80 |
| 12401 | ტომსკი-შინიკი | 1.60 | 2.00 |
| 12402 | ხიმკი-რუბინი | 1.70 | 1.90 |
| 12403 | ამკარი-მოსკოვი | 1.50 | 2.10 |
| 12404 | ლოკომოტივი-ტერეკი | 1.80 | 1.80 |
| 12405 | ენერგია-სატურნი | 1.60 | 2.00 |
| 12406 | ზენიტი-კრილია | 1.80 | 1.80 |
| 12429 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 1.90 | 1.70 |
| 12430 | ოდენსე-კოპენჰაგენი | 1.60 | 2.00 |
| 12431 | ლიუნგბიუ-რანდერსი | 2.00 | 1.60 |
| 12432 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.80 | 1.80 |
| 12433 | ბრიონდბიუ-ესბიერგი | 1.90 | 1.70 |
| 12434 | ნორდსიელანდი-ორჰუსი | 1.70 | 1.90 |
| 12444 | მოლდე-ტრომსო | 1.90 | 1.70 |
| 12445 | რუზენბორგი-ფრედრიკსტადი | 2.00 | 1.60 |
| 12446 | ბოდო გლიმტი-სტაბეკი | 2.00 | 1.60 |
| 12447 | ვიკინგი-ალესუნდი | 2.00 | 1.60 |
| 12448 | ბრანი-სტრომსგოდსეტი | 2.10 | 1.50 |
| 12449 | ლინი-ჰამ კამი | 2.00 | 1.60 |
| 12450 | ლილესტრომი-ვოლერენგა | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13002 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.60 | 2.00 |
| 13003 | ბირმინგემი-ევერტონი | 1.80 | 1.80 |
| 13004 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.80 | 1.80 |
| 13005 | ჩელსი-უიგანი | 2.00 | 1.60 |
| 13007 | დერბი-ასტონ ვილა | 1.70 | 1.90 |
| 13009 | ლივერპული-ბლეკბერნი | 1.80 | 1.80 |
| 13011 | მანჩესტერი-არსენალი | 1.70 | 1.90 |
| 13012 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13013 | რედინგი-ფულემი | 1.70 | 1.90 |
| 13014 | სანდერლენდი-სიტი | 1.80 | 1.80 |
| 13019 | პრესტონი-ბარნსლი | 1.70 | 1.90 |
| 13021 | ბრისტოლი-ვულვერჰემპტონი | 1.70 | 1.90 |
| 13022 | ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი | 1.70 | 1.90 |
| 13023 | ბარნლი-შეფილდი | 1.70 | 1.90 |
| 13024 | კარდიფი-ბლეკპული | 1.70 | 1.90 |
| 13025 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1.70 | 1.90 |
| 13026 | ქოვენტრი-სტოკი | 1.70 | 1.90 |
| 13027 | კრისტალ პალასი-სკანთორპი | 1.70 | 1.90 |
| 13028 | ჰალი-ქპრ | 1.70 | 1.90 |
| 13029 | იფსვიჩი-ნორვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 13030 | ლესტერი-კოლჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13165 | ვერდერი-შალკე | 1.50 | 2.10 |
| 13166 | ბაიერნი-დორტმუნდი | 1.80 | 1.80 |
| 13168 | ბოხუმი-ჰერტა | 1.60 | 2.00 |
| 13169 | კოტბუსი -არმინია | 1.70 | 1.90 |
| 13170 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1.60 | 2.00 |
| 13172 | კარლსრუე-ჰანზა | 1.70 | 1.90 |
| 13173 | ჰამბურგი-დუისბურგი | 1.90 | 1.70 |
| 13175 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.60 | 2.00 |
| 13219 | სტ.გალენი-იანგ ბოიზი | 1.60 | 2.00 |
| 13221 | თუნი-ქსამაქსი | 1.70 | 1.90 |
| 13222 | ლუცერნი-გრასჰოპერი | 1.70 | 1.90 |
| 13223 | ციურიხი-აარაუ | 1.60 | 2.00 |
| 13224 | ბაზელი-სიონი | 1.80 | 1.80 |
| 13235 | ჯენოა-ტორინო | 1.70 | 1.90 |
| 13236 | ნაპოლი-ატალანტა | 1.70 | 1.90 |
| 13237 | ლივორნო-კალიარი | 1.70 | 1.90 |
| 13238 | პალერმო-კატანია | 1.70 | 1.90 |
| 13239 | ინტერი-ფიორენტინა | 1.70 | 1.90 |
| 13240 | იუვენტუსი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13241 | ემპოლი-პარმა | 1.70 | 1.90 |
| 13242 | უდინეზე-რომა | 1.60 | 2.00 |
| 13244 | რეჯინა-სამპდორია | 1.70 | 1.90 |
| 13245 | ლაციო-სიენა | 1.70 | 1.90 |
| 13246 | რავენა-პიაჩენცა | 1.70 | 1.90 |
| 13247 | ჩეზენა-რიმინი | 1.70 | 1.90 |
| 13248 | ბარი-სპეცია | 1.70 | 1.90 |
| 13250 | გროსეტო-ტრიესტინა | 1.70 | 1.90 |
| 13251 | ფროზინონე-ასკოლი | 1.70 | 1.90 |
| 13252 | ვიჩენცა-აველინო | 1.70 | 1.90 |
| 13253 | კიევო-ბოლონია | 1.70 | 1.90 |
| 13254 | ალბინოლეფე-ბრეშა | 1.70 | 1.90 |
| 13255 | მოდენა-ლეჩე | 1.70 | 1.90 |
| 13256 | პიზა-მესინა | 1.70 | 1.90 |
| 13275 | ალმერია-ვილიარეალი | 1.80 | 1.80 |
| 13277 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1.70 | 1.90 |
| 13278 | ბეტისი-ლევანტე | 1.90 | 1.70 |
| 13279 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.80 | 1.80 |
| 13280 | უელვა-ბარსელონა | 1.80 | 1.80 |
| 13282 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1.90 | 1.70 |
| 13283 | დეპორტივო-ბილბაო | 1.80 | 1.80 |
| 13284 | ვალენსია-რასინგი | 1.80 | 1.80 |
| 13285 | რეალი-მურსია | 1.90 | 1.70 |
| 13287 | მალიორკა-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13288 | სელტა-სოსიედადი | 1.80 | 1.80 |
| 13289 | ჰერკულესი-კასტელონი | 1.90 | 1.70 |
| 13290 | კორდობა-ეიბარი | 1.80 | 1.80 |
| 13291 | ალავესი-ეხიდო | 1.90 | 1.70 |
| 13292 | სალამანკა-ლას პალმასი | 1.90 | 1.70 |
| 13293 | ტენერიფე-ელჩე | 1.80 | 1.80 |
| 13294 | გრანადა -სერესი | 1.90 | 1.70 |
| 13295 | კადისი-ალბასეტე | 1.90 | 1.70 |
| 13296 | სევილია ბ-ნუმანსია | 1.80 | 1.80 |
| 13297 | მალაგა -სპორტინგი | 1.80 | 1.80 |
| 13298 | ტარაგონა-ფეროლი | 1.90 | 1.70 |
| 13299 | მონაკო-ტულუზა | 1.90 | 1.70 |
| 13300 | ლე მანი-ოსერი | 1.90 | 1.70 |
| 13301 | ბორდო-კაენი | 1.90 | 1.70 |
| 13303 | ლორიანი-ლანსი | 1.90 | 1.70 |
| 13304 | მეცი-მარსელი | 1.90 | 1.70 |
| 13305 | ლილი-ნანსი | 1.90 | 1.70 |
| 13306 | პსჟ-ნიცა | 1.90 | 1.70 |
| 13307 | ლიონი-რენი | 2.00 | 1.60 |
| 13309 | სოშო-სტ.ეტიენი | 1.90 | 1.70 |
| 13310 | ვალენსიენი-სტრასბური | 1.90 | 1.70 |
| 13322 | შარლერუა-გენკი | 1.70 | 1.90 |
| 13323 | ბრიუგე-სერკლი | 1.70 | 1.90 |
| 13324 | დენდერი-ბრიუსელი | 1.70 | 1.90 |
| 13327 | მეხელენი-გენტი | 1.70 | 1.90 |
| 13328 | მუსკრონი-ვარეგემი | 1.70 | 1.90 |
| 13329 | მონსი-რუზელარე | 1.80 | 1.80 |
| 13330 | სტ.ტრუიდენი-ვესტერლო | 1.80 | 1.80 |
| 13331 | ანდერლეხტი-ბევერენი | 1.80 | 1.80 |
| 13343 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 1.40 | 2.20 |
| 13344 | პსვ-ტვენტე | 1.70 | 1.90 |
| 13345 | ექსელსიორი-ალკმაარი | 1.40 | 2.20 |
| 13346 | ჰერაკლესი-ბრედა | 1.50 | 2.10 |
| 13348 | გრააფშაპი-უტრეხტი | 1.40 | 2.20 |
| 13349 | ნაიმეგენი-ვიტესი | 1.50 | 2.10 |
| 13350 | როდა-ვენლო | 1.50 | 2.10 |
| 13351 | გრონინგენი-აიაქსი | 1.40 | 2.40 |
| 13353 | სპარტა-ჰერენვენი | 1.30 | 2.40 |
| 13364 | გიმარაეში-ბოავისტა | 1.90 | 1.70 |
| 13366 | ნასიონალი-ფერეირა | 1.90 | 1.70 |
| 13367 | ნავალი-მარიტიმუ | 1.80 | 1.80 |
| 13368 | ბრაგა-ლეირია | 2.00 | 1.60 |
| 13369 | სპორტინგი-ლეიშოეში | 2.10 | 1.50 |
| 13370 | სეტუბალი-პორტუ | 1.80 | 1.80 |
| 13374 | ამადორა-ბელენენსეში | 1.90 | 1.70 |
| 13391 | კასიმპაშა-რიზე | 1.70 | 1.90 |
| 13392 | ანკარა-ფენერბაჰჩე | 1.90 | 1.70 |
| 13393 | გენჩლერბირლიგი-გაზიანთეფი | 1.70 | 1.90 |
| 13395 | დენიზლი-ისტანბული | 1.70 | 1.90 |
| 13396 | მანისა-ანკარაგუჯუ | 1.70 | 1.90 |
| 13397 | კაისერი-სივასპორი | 1.90 | 1.70 |
| 13398 | გალათასარაი-ტრაბზონი | 1.90 | 1.70 |
| 13399 | კონია-ბურსა | 1.70 | 1.90 |
| 13429 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 1.60 | 2.00 |
| 13430 | ოდენსე-კოპენჰაგენი | 1.70 | 1.90 |
| 13431 | ლიუნგბიუ-რანდერსი | 1.60 | 2.00 |
| 13432 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.60 | 2.00 |
| 13433 | ბრიონდბიუ-ესბიერგი | 1.60 | 2.00 |
| 13434 | ნორდსიელანდი-ორჰუსი | 1.70 | 1.90 |
| 13444 | მოლდე-ტრომსო | 1.50 | 2.10 |
| 13445 | რუზენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.60 | 2.00 |
| 13446 | ბოდო გლიმტი-სტაბეკი | 1.50 | 2.10 |
| 13447 | ვიკინგი-ალესუნდი | 1.70 | 1.90 |
| 13448 | ბრანი-სტრომსგოდსეტი | 1.50 | 2.00 |
| 13449 | ლინი-ჰამ კამი | 1.60 | 2.00 |
| 13450 | ლილესტრომი-ვოლერენგა | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14002 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1.45 | 2.40 |
| 14003 | ბირმინგემი-ევერტონი | 2.00 | 1.80 |
| 14004 | ბოლტონი-ვესტ ჰემი | 1.75 | 2.10 |
| 14007 | დერბი-ასტონ ვილა | 1.50 | [illegible] |
| 14009 | ლივერპული-ბლეკბერნი | 1.30 | 2.50 |
| 14011 | მანჩესტერი-არსენალი | 1.70 | 2.20 |
| 14012 | პორტსმუთი-ნიუკასლი | 1.75 | 2.10 |
| 14013 | რედინგი-ფულემი | 1.70 | 2.20 |
| 14014 | სანდერლენდი-სიტი | 1.75 | 2.10 |
| 14019 | პრესტონი-ბარნსლი | 1.70 | 2.20 |
| 14021 | ბრისტოლი-ვულვერჰემპტონი | 1.80 | 2.00 |
| 14022 | ვესტ ბრომვიჩი-უოტფორდი | 1.70 | 2.20 |
| 14023 | ბარნლი-შეფილდი | 1.80 | 2.00 |
| 14024 | კარდიფი-ბლეკპული | 1.65 | 2.30 |
| 14025 | ჩარლტონი-საუთჰემპტონი | 1.65 | 2.30 |
| 14026 | ქოვენტრი-სტოკი | 1.85 | 1.95 |
| 14027 | კრისტალ პალასი-სკანთორპი | 1.30 | 2.50 |
| 14028 | ჰალი-ქპრ | 1.45 | 2.40 |
| 14029 | იფსვიჩი-ნორვიჩი | 1.70 | 2.20 |
| 14030 | ლესტერი-კოლჩესტერი | 1.30 | 2.50 |
| 14096 | დინამო მ-სპარტაკი მ | 1.95 | 1.85 |
| 14165 | ვერდერი-შალკე | 1.65 | 2.30 |
| 14168 | ბოხუმი-ჰერტა | 1.80 | 2.00 |
| 14169 | კოტბუსი -არმინია | 1.75 | 2.10 |
| 14170 | ჰანოვერი-აინტრახტი | 1.75 | 2.10 |
| 14172 | კარლსრუე-ჰანზა | 1.65 | 2.30 |
| 14175 | ლევერკუზენი-შტუტგარტი | 1.80 | 2.00 |
| 14178 | ჰოფენჰაიმი-ალემანია | 1.30 | 2.50 |
| 14179 | მიონხენგლადბახი-ფიურტი | 1.45 | 2.40 |
| 14181 | ოფენბახი-მიუნხენი 1860 | 1.80 | 2.00 |
| 14184 | ფრაიბურგი-კარლ ცაისი | 1.45 | 2.40 |
| 14205 | ალტახი-აუსტრია | 2.00 | 1.80 |
| 14206 | მატერსბურგი-ზალცბურგი | 2.20 | 1.70 |
| 14208 | შტურმი-ტიროლი | 1.65 | 2.30 |
| 14210 | რიდი-ლინცერი | 1.95 | 1.85 |
| 14219 | სტ.გალენი-იანგ ბოიზი | 2.40 | 1.45 |
| 14221 | თუნი-ქსამაქსი | 2.00 | 1.80 |
| 14222 | ლუცერნი-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 14223 | ციურიხი-აარაუ | 1.30 | 2.50 |
| 14224 | ბაზელი-სიონი | 1.20 | 2.60 |
| 14235 | ჯენოა-ტორინო | 1.85 | 1.95 |
| 14236 | ნაპოლი-ატალანტა | 1.75 | 2.10 |
| 14237 | ლივორნო-კალიარი | 1.80 | 2.00 |
| 14238 | პალერმო-კატანია | 1.75 | 2.10 |
| 14239 | ინტერი-ფიორენტინა | 1.30 | 2.50 |
| 14240 | იუვენტუსი-მილანი | 1.80 | 2.00 |
| 14241 | ემპოლი-პარმა | 1.80 | 2.00 |
| 14242 | უდინეზე-რომა | 2.00 | 1.80 |
| 14244 | რეჯინა-სამპდორია | 1.90 | 1.90 |
| 14245 | ლაციო-სიენა | 1.75 | 2.10 |
| 14246 | რავენა-პიაჩენცა | 1.75 | 2.10 |
| 14247 | ჩეზენა-რიმინი | 1.65 | 2.30 |
| 14248 | ბარი-სპეცია | 1.70 | 2.20 |
| 14250 | გროსეტო-ტრიესტინა | 1.75 | 2.10 |
| 14251 | ფროზინონე-ასკოლი | 1.80 | 2.00 |
| 14252 | ვიჩენცა-აველინო | 1.45 | 2.40 |
| 14253 | კიევო-ბოლონია | 1.80 | 2.00 |
| 14254 | ალბინოლეფე-ბრეშა | 1.80 | 2.00 |
| 14255 | მოდენა-ლეჩე | 2.10 | 1.75 |
| 14256 | პიზა-მესინა | 1.30 | 2.50 |
| 14275 | ალმერია-ვილიარეალი | 2.00 | 1.80 |
| 14277 | ვალიადოლიდი-ატლეტიკო | 1.95 | 1.85 |
| 14278 | ბეტისი-ლევანტე | 1.20 | 2.60 |
| 14279 | ხეტაფე-სარაგოსა | 1.80 | 2.00 |
| 14280 | უელვა-ბარსელონა | 2.40 | 1.45 |
| 14282 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1.75 | 2.10 |
| 14283 | დეპორტივო-ბილბაო | 1.75 | 2.10 |
| 14284 | ვალენსია-რასინგი | 1.80 | 2.00 |
| 14287 | მალიორკა-სევილია | 1.80 | 2.00 |
| 14288 | სელტა-სოსიედადი | 1.85 | 1.95 |
| 14289 | ჰერკულესი-კასტელონი | 1.80 | 2.00 |
| 14290 | კორდობა-ეიბარი | 1.75 | 2.10 |
| 14291 | ალავესი-ეხიდო | 1.70 | 2.20 |
| 14292 | სალამანკა-ლას პალმასი | 1.80 | 2.00 |
| 14293 | ტენერიფე-ელჩე | 1.80 | 2.00 |
| 14294 | გრანადა -სერესი | 1.75 | 2.10 |
| 14295 | კადისი-ალბასეტე | 1.75 | 2.10 |
| 14296 | სევილია ბ-ნუმანსია | 1.95 | 1.85 |
| 14297 | მალაგა -სპორტინგი | 1.75 | 2.10 |
| 14298 | ტარაგონა-ფეროლი | 1.80 | 2.00 |
| 14299 | მონაკო-ტულუზა | 1.70 | 2.20 |
| 14300 | ლე მანი-ოსერი | 1.75 | 2.10 |
| 14301 | ბორდო-კაენი | 1.30 | 2.50 |
| 14303 | ლორიანი-ლანსი | 1.80 | 2.00 |
| 14304 | მეცი-მარსელი | 2.40 | 1.45 |
| 14305 | ლილი-ნანსი | 1.75 | 2.10 |
| 14306 | პსჟ-ნიცა | 1.70 | 2.20 |
| 14307 | ლიონი-რენი | 1.20 | 2.60 |
| 14309 | სოშო-სტ.ეტიენი | 1.75 | 2.10 |
| 14310 | ვალენსიენი-სტრასბური | 1.70 | 2.20 |
| 14322 | შარლერუა-გენკი | 1.80 | 2.00 |
| 14323 | ბრიუგე-სერკლი | 1.70 | 2.20 |
| 14324 | დენდერი-ბრიუსელი | 1.45 | 2.40 |
| 14327 | მეხელენი-გენტი | 1.80 | 2.00 |
| 14328 | მუსკრონი-ვარეგემი | 1.75 | 2.10 |
| 14329 | მონსი-რუზელარე | 1.45 | 2.40 |
| 14330 | სტ.ტრუიდენი-ვესტერლო | 1.80 | 2.00 |
| 14331 | ანდერლეხტი-ბევერენი | 1.20 | 2.60 |
| 14343 | ტილბურგი-ფეიენოორდი | 2.20 | 1.70 |
| 14344 | პსვ-ტვენტე | 1.30 | 2.50 |
| 14345 | ექსელსიორი-ალკმაარი | 2.10 | 1.75 |
| 14346 | ჰერაკლესი-ბრედა | 2.20 | 1.70 |
| 14348 | გრააფშაპი-უტრეხტი | 1.85 | 1.95 |
| 14349 | ნაიმეგენი-ვიტესი | 1.70 | 2.20 |
| 14350 | როდა-ვენლო | 1.20 | 2.60 |
| 14351 | გრონინგენი-აიაქსი | 2.30 | 1.65 |
| 14353 | სპარტა-ჰერენვენი | 2.20 | 1.70 |
| 14364 | გიმარაეში-ბოავისტა | 1.45 | 2.40 |
| 14366 | ნასიონალი-ფერეირა | 1.45 | 2.40 |
| 14367 | ნავალი-მარიტიმუ | 1.85 | 1.95 |
| 14370 | სეტუბალი-პორტუ | 2.30 | 1.65 |
| 14374 | ამადორა-ბელენენსეში | 1.80 | 2.00 |
| 14383 | ლარისა-ერგოტელისი | 1.70 | 2.20 |
| 14384 | ოფი-პანიონიოსი | 1.70 | 2.20 |
| 14385 | პანათინაიკოსი-არისი | 1.45 | 2.40 |
| 14386 | პაოკ-აეკ | 2.40 | 1.45 |
| 14387 | ქსანთი-ოლიმპიაკოსი | 2.60 | 1.20 |
| 14391 | კასიმპაშა-რიზე | 1.80 | 2.00 |
| 14392 | ანკარა-ფენერბაჰჩე | 2.50 | 1.30 |
| 14393 | გენჩლერბირლიგი-გაზიანთეფი | 1.70 | 2.20 |
| 14395 | დენიზლი-ისტანბული | 1.65 | 2.30 |
| 14396 | მანისა-ანკარაგუჯუ | 1.80 | 2.00 |
| 14397 | კაისერი-სივასპორი | 1.80 | 2.00 |
| 14398 | გალათასარაი-ტრაბზონი | 1.20 | 2.60 |
| 14399 | კონია-ბურსა | 1.80 | 2.00 |
| 14401 | ტომსკი-შინიკი | 1.65 | 2.30 |
| 14402 | ხიმკი-რუბინი | 2.10 | 1.75 |
| 14403 | ამკარი-მოსკოვი | 1.85 | 1.95 |
| 14405 | ენერგია-სატურნი | 1.85 | 1.95 |
| 14406 | ზენიტი-კრილია | 1.20 | 2.60 |
| 14429 | მიდტიულანდი-ოლბორგი | 1.85 | 1.95 |
| 14430 | ოდენსე-კოპენჰაგენი | 1.85 | 1.95 |
| 14431 | ლიუნგბიუ-რანდერსი | 2.40 | 1.45 |
| 14432 | ვიბორგი-ჰორსენსი | 1.95 | 1.85 |
| 14433 | ბრიონდბიუ-ესბიერგი | 1.45 | 2.40 |
| 14434 | ნორდსიელანდი-ორჰუსი | 1.45 | 2.40 |
| 14444 | მოლდე-ტრომსო | 1.85 | 1.95 |
| 14445 | რუზენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.30 | 2.50 |
| 14446 | ბოდო გლიმტი-სტაბეკი | 2.10 | 1.75 |
| 14447 | ვიკინგი-ალესუნდი | 1.20 | 2.60 |
| 14448 | ბრანი-სტრომსგოდსეტი | 1.20 | 2.60 |
| 14449 | ლინი-ჰამ კამი | 1.45 | 2.40 |
| 14450 | ლილესტრომი-ვოლერენგა | 1.80 | 2.00 |

# ავიამშენი ენერგიას ენერჯისთან შეიმოწმებს, უცხრილო ჯახი



ლევან მოსეშვილი

ხვალ რეგულარული ჩემპიონატის მეხუთე წრე საინტერესო მატჩით მთავრდება — სუპერლიგის ლიდერი „ენერჯი-ინვესტი“ მეორე ადგილზე მყოფ „ავიამშენს“ დაუპირისპირდება. რეგულარულის მოგება პლეი ოფში საკუთარი მოედნის უპირატესობას იძლევა, მაგრამ იმხელა სხვაობაა რუსთაველებსა და მათ მდევარს შორის, რომ „ავიატორები“ პირველობაზე არც ოცნებობენ. მიუხედავად ამისა, ხვალინდელი მატჩი მაინც საინტერესო იქნება, რაკი ორივე გუნდს საჩემპიონო ამბიცია აქვს და ერთმანეთში ჯერაც ბევრი რამ აქვთ გასარკვევი. არაა გამორიცხული, რომ ამ თამაშს უფრო დაზვერვითი ხასიათი ჰქონდეს და სპორტულმა მხარემ შედარებით უკანა პლანზე გადაინაცვლოს. საინტერესოა, რას ფიქრობენ მეტოქე გუნდების თავკაცები კარსმომდგარი მატჩის წინ და ჩვენც მოვუსმინოთ მათ...



დავით უსტიაშვილი

*ლევან მოსეშვილი, „ავიამშენის“ მთავარი მწვრთნელი:*

— რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა რეგულარული ჩემპიონატის მოგება და საკუთარი მოედნის უპირატესობის მოპოვება, მაგრამ სეზონის დასაწყისში არაერთი უაზრო მატჩი წავაგეთ და „ენერჯი-ინვესტს“ ახლა გვარიანი სხვაობით ჩამოვრჩებით. ამიტომაც ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლომდე არ ვიბრძოლოთ. „ავიამშენმა“ სეზონი ცუდად დაიწყო, რაც შეუთამაშებლობის ბრალი იყო, ახლა კი ამ მხრივ საქმე გამოვასწორეთ და გვსურს, ძალები ჩემპიონატის ლიდერთან მოვსინჯოთ...

თუკი რუსთაველებს დავამარცხებთ, პლეი ოფის საგზურს ვინაღდებთ, ალბათ აღარც მეოთხე ადგილზე გასვლის საფრთხე დაგვემუქრება და რეგულარული ჩემპიონატის ბოლო, მეექვსე წრეში ექსპერიმენტული შემადგენლობით ვითამაშებთ...

*აქვე განვმარტოთ, რომ მეოთხე ადგილზე გასული გუნდი ნახევარფინალში მოქმედ ჩემპიონსა და საკუთარი მოედნის უპირატესობის მქონე „ენერჯი-ინვესტს“ ხვდება და „ავიამშენთან“ ერთად რუსთაველებთან ფინალამდე დაჯახება არც ერთ კლუბს არ აწყობს.*

— ტრავმირებულები არ გვყავს, თუმცა ერთხელაც აღვნიშნავ ძველ ამბავს, რომ ლუკა შანიძე და ლევან მოსეშვილი სეზონის ბოლომდე გამოგვაკლდნენ — ასე დაასრულა ხვალინდელ მატჩზე საუბარი „ავიამშენის“ მთავარმა მწვრთნელმა.

*დაახლოებით იგივე პათოსი იგრძნობა რუსთაველთა მწვრთნელის დავით უსტიაშვილის სიტყვებშიც:*

— ამ მატჩს სატურნირო მნიშვნელობა თითქმის დაკარგული აქვს, რადგან ჩვენ არ ვართ ყველა მატჩის წამგებნი და მოპოვებული მყარი ლიდერობის დამთმობნი. „ავიამშენმა“ მიმდინარე სეზონში ორჯერ მოგვიგო, აქედან ერთი რუსთავში, ქორქია-საკანდელიძის თასის ფინალში და თუკი დავმარცხებით, ძალიან გაგვიხარდება. თუ ამას მოვახერხებთ, პირველ ადგილს ოფიციალურად გავინაღდებთ და ბოლო წრეში თამაშის დახვეწის საშუალება მოგვეცემა. სათადარიგოებს მეტ სათამაშო დროს მივცემ და დარჩენილ მატჩებს კომბინაციების სრულყოფისთვის გამოვიყენებთ.

*ამ მატჩის გარდა ხვალ სპორტის სასახლეში არანაკლებ საინტერესო თამაშებია. ეს უფრო თსუ-სა და „ვითას“ დაპირისპირებაზე ითქმის, რომლებიც ცხრილში მესამე-მეოთხე ადგილებზე არიან. მესამე შეხვედრაში კი აუტსაიდერი „მაკაბი“ პლეი ოფში გასვლის ოდენ თეორიული შანსის მქონე „დინამოს“ დაუპირისპირდება.*

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მაინც დენვერი
## ბრალი საბრალო გოლდენ სტეიტს

10 აპრილი

**გოლდენ სტეიტი 105:114 დენვერი**

**გოლდენ სტეიტი:** ელისი (29), დევისი (20 ქულა, 11 პასი, 10 მოხსნა), ჰარინგტონი (20), ჯექსონი (18), ბიედრინსი (11 ქულა, 10 მოხსნა)

**დენვერი:** აივერსონი (33 ქულა, 9 პასი), ენტონი (25 ქულა, 9 მოხსნა, 5 ჩაჭრა), სმიტი (24)

**დალასი 97:94 იუტა**

**დალასი:** ნოვიცკი (32), ტერი (21), ბასი (14)

**იუტა:** ოქური (19 ქულა, 14 მოხსნა), უილიამსი (18 ქულა, 12 პასი)

**კლიპერსი 78:106 ლეიკერსი**

**კლიპერსი:** ბრენდი (23), ტორნტონი (22 ქულა, 10 მოხსნა)

**ლეიკერსი:** უოლტონი (18), ბრაიანტი (16), ოდომი (14 ქულა, 13 მოხსნა), გასოლი (13)

**დასავლეთში** პლეი ოფის მერვე და უკანასკნელი საგზურისთვის ბრძოლაში „დენვერმა“ გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვა, როცა სან ფრანცისკოში გასვლაზე დაამარცხა უშუალო კონკურენტი „გოლდენ სტეიტი“ და ასე გამოასწორა რამდენიმე დღის წინ ორ უხეირო გუნდთან წაგებისას დაშვებული სულელური შეცდომა.

„ყველამ გადასარევად ვიცოდით, რა იდო ამ თამაშის პინაზე. შეიძლება, ვილაცამ მაინც წამოაყრანტალოს, ეს რიგითი მატჩი იყოო, მაგრამ თავადაც მიხვდება, რომ სისულელეს ამბობს — თავხედობამდე კმაყოფილი ჩანდა გამარჯვებულთა ლიდერი ალენ აივერსონი ნამატჩევს — ჩვენთვისაც და ჩვენი მეტოქეებისთვისაც ეს იყო სეზონის მატჩი, ჩვენ ვივარგეთ, იმათ კი ვერა.“

ამგვარად, „გოლდენ სტეიტი“ პლეი ოფს გარეთ რჩება და ძალიან დაგენანება, თუ ბოროტი ადამიანი არ ხარ. დონ ნელსონის გუნდს თამაშების თითქმის 60 პროცენტი აქვს მოგებული, აღმოსავლეთის ბინადარი რომ ყოფილიყო, ამ მაჩვენებლით პლეი ოფშიც რიხინით გავიდოდა და ოთხ საუკეთესოს შორისაც დაიკავებდა ადგილს, მაგრამ მისდა საუბედუროდ, ის დასავლეთში სახლობს, სადაც აგერ მერვე ადგილზე გასულ „დენვერსაც“ კი ლამის საჩემპიონო გაქანების შემადგენლობა ჰყავს.

თავად მატჩი მასპინძელთა უპირატესობით დაიწყო და „გოლდენ სტეიტმა“ პირველ მეოთხედში 17 ქულითაც კი გაიწია, მაგრამ „დენვერმა“ შეძლო და მეორეშივე გამოასწორა ვითარება, როცა ზედიზედ 19 ქულა გააკეთა და მისი ეს მძლავრი სვლა გახდა ამ მატჩის საკვანძო მონაკვეთი. სტუმრებმა აივერსონის მეცადინეობით და სათადარიგო ჯეიარ სმიტის სამქულიანებით 7-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, რომელიც უკანასკნელ მეოთხედში გაორმაგეს. ბევრს ცდილობდნენ მასპინძლები, კარგი იყო ხუთივე დამწყები, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ მონტა ელისი და ბაირონ დევისი. ამ უკანასკნელმა სეზონში მესამე სამმაგი დუბლიც შეასრულა, მაგრამ სასიცოცხლო გამარჯვებას ჩაჭიდებული „დენვერიც“ მაგრად იდგა და მეტოქე 6 ქულაზე ახლოს აღარ მიუშვა.

ამ მარცხის შემდეგ „გოლდენ სტეიტის“ საპლეიოფო შანსებმა თეორიული სახე მიიღო, სანფრანცისკოელებმა დარჩენილი სამივე თამაში უნდა მოიგონ იმ იმედით, რომ „დენვერს“ სამიდან ორში მაინც წაუცდება ფეხი. ამასობაში პლეი ოფი გაინაღდა დასავლეთის მეშვიდე გუნდმა „დალასმაც“, რომელიც ჯერ კიდევ ორი კვირის წინ ურთულეს სიტუაციაში იყო, მაგრამ იყოჩაღა და იქიდან ღირსეულად გამოვიდა. ახლა „დალასმა“ შინ „იუტა“ დაამარცხა დირკ ნოვიცკის გადასარევი თამაშის წყალობით. შედეგის მიხედვით „იუტა“ დასავლეთში მეექვსეა, მაგრამ პლეი ოფში მეოთხე ნომრად განთესვა გარანტირებული აქვს, რაკი ჩრდილო-დასავლეთის დივიზიონში პირველია.



ალენ აივერსონის „დენვერი“ ზედიზედ მეხუთედ გადის პლეი ოფში

ორი ლოსანჯელესური „ძმის“ „ლეიკერისისა“ და „კლიპერსის“ ბრძოლა კი, ანგარიშის ნახვის გარეშეც მიხვდებით, რომლის გამარჯვებით დასრულდებოდა. „ლეიკერსს“ კიდევ შერჩა დასავლეთში პირველობის შანსი, აი, მისი „უმცროსი ძმა“ „კლიპერსი“ კი ჯერ კიდევ შუა სეზონში გამოეთიშა საპლეიოფო მარათონს.

**ივანე ქოჩიაშვილი**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| *ბოსტონი* | 62 | 16 | 70,4 |
| *დეტროიტი* | 55 | 23 | 70,5 |
| *ორლანდო* | 49 | 29 | 62,8 |
| ქლივლენდი | 43 | 35 | 55,1 |
| ვაშინგტონი | 41 | 37 | 52,5 |
| ფილადელფია | 40 | 38 | 51,3 |
| ტორონტო | 39 | 39 | 50,0 |
| ატლანტა | 36 | 42 | 46,2 |
| ინდიანა | 34 | 44 | 43,6 |
| ნიუ ჯერსი | 32 | 45 | 41,0 |
| ჩიკაგო | 30 | 48 | 38,5 |
| შარლოტი | 30 | 49 | 38,0 |
| მილუოკი | 26 | 52 | 33,3 |
| ნიუ იორკი | 23 | 56 | 28,2 |
| მაიამი | 14 | 64 | 17,9 |
| **დასავლეთი** | | | |
| *ნიუ ორლეანი* | 55 | 23 | 70,5 |
| *ლეიკერსი* | 54 | 25 | 68,4 |
| სან ანტონიო | 53 | 25 | 67,9 |
| *იუტა* | 52 | 27 | 65,8 |
| ჰიუსტონი | 53 | 25 | 67,9 |
| ფინიქსი | 53 | 26 | 67,1 |
| დალასი | 50 | 29 | 63,3 |
| დენვერი | 48 | 31 | 60,8 |
| გოლდენ სტეიტი | 47 | 32 | 59,5 |
| პორტლენდი | 39 | 39 | 50,0 |
| საკრამენტო | 36 | 42 | 46,2 |
| კლიპერსი | 23 | 56 | 29,1 |
| მემფისი | 21 | 57 | 26,9 |
| მინესოტა | 19 | 59 | 24,4 |
| სიეტლი | 18 | 61 | 22,8 |

*პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი სამი დივიზიონის სამ ლიდერს (აღნიშნულია დახრილი შრიფტით); მთავრული შრიფტით გამორჩეულები გავიდნენ პლეი ოფში*

# ჩემპიონს მუჭტრუკობა არ შერჩა

**დეტროიტი 3:1 ნეშვილი**
*1:0 0:1 2:0*
1:0 ფრანცენი (6), 1:1 ტუტუ (38), 2:1 ზეტერბერგი (47), 3:1 ზეტერბერგი (60)

**რეგულარული** ჩემპიონატის გამარჯვებულს ტკბილი ცხოვრება რომ არ ელის, სერიის პირველივე მატჩში დავრწმუნდით, როცა „ნეშვილმა“ თავისი ახალბედა მეკარე დენ ელისის მოთავეობით ნამდვილი ომი გაუმართა პლეი ოფის ერთ-ერთ ფავორიტს. მეტიც, „წითელფრთიანებმა“ ნაწილობრივ გამართლების ხარჯზე მოიგეს, რადგანაც ორი შაიბა რიკოშეტებით გაიტანეს.

ამით იმის თქმა სულაც არ გვსურს, რომ მასპინძლებმა მხოლოდ იღბლის ხელის წაშველებით იხეირეს, „დეტროიტი“ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში ფლობდა უპირატესობას და აურაცხელი რაოდენობის მომენტები შექმნა, მაგრამ ელისი კარებში კედელივით იდგა. აი, სწორედ აქ დაეხმარათ მასპინძლებს რიკოშეტები. ეს განსაკუთრებით ჰენრიკ ზეტერბერგის გამარჯვების მომტან შაიბას ეხება, როცა შვედ ფორვარდს შავი დისკო რეფერისგან ასხლეტით მიუვიდა. ასეა თუ ისე, „დეტროიტი“ დაწინაურდა სერიაში, მაიკ ბებკოკმა კი თავის შეგირდებს უნდა შეაგნებინოს, რომ ამდენი შანსის განიავება ადრე თუ გვიან შეიძლება ცუდად დაუჯდეთ.

მასპინძელთა ვეტერანი მცველის, 46 წლის კრის ჩელიოსისთვის კი ეს მატჩი რიგით 247-ე სათასო გამოდგა და ის ამ მაჩვენებლით ლიგის რეკორდსმენ პატრიკ რუას დაეწია.

**მონრეალი 4:1 ბოსტონი**
*2:1 1:0 1:0*
1:0 ს. კოსტიცინი (1), 2:0 ა. კოსტიცინი (3), 2:1 ჰნიდი (9), 3:1 სმოლინსკი (26), 4:1 კოსტოპულუსი (48)

**„ბოსტონმა“** ისევ ვერაფერი გააწყო „მონრეალთან“ — ამერიკულმა გუნდმა რეგულარულ სეზონში ყველა შეხვედრა წააგო „კანადიენსთან“ და ეს სერიაც უიღბლოდ დაიწყო. შთაბეჭდილება შეიქნა, რომ „დათვები“ მუხლების კანკალით გავიდნენ ყინულზე, რადგანაც მასპინძლებმა საწყის სამ წუთში შეძლეს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება, რასაც „მონრეალი“ ბელარუს ძმებს — სერგეი და ანდრეი კოსტიცინებს უნდა უმადლოდეს, რომლებმაც თავიანთ პირველივე საპლეიოფო მატჩში შეძლეს თავის გამოჩენა.

მატჩიც ფაქტობრივად აქ მორჩა, რადგანაც „ბოსტონს“ შეტევაში ხეირიანი ალარაფერი გაუკეთებია. შეინ ჰნიდის გატანილი გოლიც მასპინძელთა ახალბედა მეკარე კერი პრაისის სინდისზეა, თორემ „დათვებს“ მთელი მატჩის განმავლობაში სახიფათო მომენტი არ ჰქონიათ. სამაგიეროდ, „მონრეალმა“ თავის დაზღვევის მიზნით მომდევნო ორ პერიოდში თითოჯერ დაამწუხრა ტიმ ტომასი და ადვილი გამარჯვებაც გაინაღდა.

„ბოსტონის“ დამრიგებელ კლოდ ჟულიენს კი საფიქრალი თავზე საყრელად აქვს — მასპინძლებმა არა მარტო სისწრაფეში (რაც „მონრეალის“ სავიზიტო ბარათია) დაჩაგრეს მომხვდურები, არამედ ძალისმიერ თამაშშიც და შემდეგშიც ასე თუ გაგრძელდა, „დათვებს“ სერიის ნულზე წაგება ემუქრებათ.




**სან ხოსე 2:0 კალგარი**
*0:0 2:0 0:0*
1:0 პაველსკი (25), 2:0 მიჩელი (39)

**ევგენი ნაბოკოვმა** პირველი მატჩიდან სწორი დასკვნები გამოიტანა და თავის გუნდს სერიის გათანაბრების საშუალება მისცა. მოგეხსენებათ, ერთი დღით ადრე „კალგარიმ“ მიკა კიპრუსოფის ჩაუქობის წყალობით იხეირა და აკი ვთქვათ კიდეც, თუ რუსი მეკარეც არ მოუმატებს, „სან ხოსეს“ მაგრად გაუჭირდებაო. ჰოდა, ნაბოკოვმაც შეისმინა ეს შეგონება და კარი მშრალად შეინახა, „ზვიგენებმა“ კი წვალებით, მაგრამ მაინც გადაჭრეს კიპრუსოფის პრობლემა.

თუმც კალიფორნიელთა გულშემატკივრებს სანერვიულო მაინც ბლომად აქვთ, რადგანაც კვლავაც დუმან გუნდის ლიდერები — ჯო ტორნტონი, კაპიტანი პატრიკ მარლო და გამოცდილი ჯერემი რიონიკი. სამაგიეროდ, ახალგაზრდებმა იყოჩაღეს და ჯერ ჯო პაველსკიმ, შემდეგ კი ტორი მიჩელმა გამოიჩინეს თავი.

ახლა ჯახი კანადაში გადაინაცვლებს. ყინულის უპირატესობა უკვე „ალებს“ ექნებათ და თუ „სან ხოსემ“ არ მოუმატა პირველ რიგში (ეს ტორნტონს ეხება), დიდი შანსია, სახლში დაბრუნების წინ გუნდი კატასტროფის წინაშე დადგეს.

**ანაჰაიმი 0:4 დალასი**
*0:2 0:2 0:0*
0:1 ოტი (12), 0:2 ერიქსონი (18), 0:3 ლეჰტინენი (24), 0:4 მოროუ (38)

**უხეიროდ** დაიწყო ტიტულის დაცვა „ანაჰაიმმა“. „დალასმა“ პირველ შეხვედრაში ქვა ქვაზე არ დაუტოვა სტენლის თასის მოქმედ ჩემპიონს. არა მარტო ანგარიშით, არამედ თამაშითაც პირწმინდად დაჩაგრა წყვილის უპირობო ფავორიტად შერაცხული „იხვები“.

კალიფორნიელებმა მხოლოდ პირველი პერიოდის საწყისი 10 წუთი ითამაშეს, რადგანაც ამის მერე მათ ყინულზე მოქმედებას ჰოკეი ნაკლებად ეთქმოდა. როგორც კი საქმეები ხეირიანად არ წაუვიდათ, ჩემპიონები მუშტებზე, ძიძგილაობაზე, ელემენტარულ უხეშობაზე და მეტოქის მტვრევა-ლეწვაზე გადავიდნენ, რამაც მხოლოდ ის შედეგი გამოიღო, რომ „ვარსკვლავებმა“ უდისციპლინობისთვის სამაგალითოდ დასაჯეს მასპინძლები და ოთხივე შაიბა მეტობაში თამაშის დროს შეაგდეს.

ყველაზე რთული წარმოსადგენი კი ის იყო, რომ კალიფორნიელთა შეტევა ამდენად უსუსური გამოდგებოდა — მათ მხოლოდ 20-ჯერ შეაწუხეს მარტი ტურკო, რომელსაც მეოთხე პლეიოფური შატაუტის გასაკეთებლად ბევრი წვალება არ დასჭირვებია.

„ზუსტად ვერც კი გავიხსნებ, სერია მოგებით ბოლოს როდის დავიწყეთ. დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ, რაც თვითრწმენას ერთიორად გაგვიზრდის — კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ეს გუნდი გადაულახავი ბარიერი სულაც არ არის“ — კმაყოფილი იყო ნამატჩევს ტეხასელთა კაპიტანი ბრენდან მოროუ, რომელიც თავის გუნდს სამი ქულით (1+2) შეეწია.

**ბაჩა ლომაშვილი**



# შარაპოვა თიხის მტვერს ეჩვევა

ქალები
ამელია აილენდი. აშშ. თიხნარი
საპრიზო 600 000 $

**მესამე წრე**

**მარია შარაპოვა** (1, რუსეთი) — ანაბელ მედინა-გარიგესი (16, ესპანეთი) 7:6 5:7 7:6; **ალონა ბონდარენკო** (10, უკრაინა) — დინარა საფინა (6, რუსეთი) 7:6 0:6 7:5; **ლინდსი დევენპორტი** (18, აშშ) — კაროლინ შპრემი (ხორვატია) 6:4 3:6 6:4; **აგნეს სუავაი** (8, უნგრეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 3:6 6:2 6:3; **ალიზე კორნე** (საფრანგეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:1 7:5; **ვირჟინი რაზანო** (13, საფრანგეთი) — ოლგა გოვორცოვა (ბელარუსი) 6:2 6:4; **ამელი მორესმო** (11, საფრანგეთი) — აგნეშკა რადვანსკა (7, პოლონეთი) 3:6 7:5 7:6; **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — ანა ჩაკვეტაძე (2, რუსეთი) 6:2 3:6 6:1

**ამ კვირას** მხოლოდ ერთი ტურნირი იმართება. მოგეხსენებათ, კაცებს სანაკრებო გარჩევები აქვთ დევისის თასზე, ქალები კი მხოლოდ კიბისკეინთან ახლოს, ამელია აილენდზე იქნევენ ჩოგანს. გასაკვირია, მაგრამ ამ ტურნირზე თამაშს ბევრი ბობოლა დათანხმდა. არადა, სეზონის ამ პერიოდში მეჩოგნეთა უმეტესობა ცდილობს, რაც შეიძლება ჩქარა გამოემგზავროს ევროპისკენ, რადგან საჩოგბურთო ეპიცენტრი ამიერიდან ბებერ კონტინენტზე გადმოინაცვლებს და ჩრდილო ამერიკას მხოლოდ ივლისის შუაგილისთვის დაუბრუნდება.

ამელია აილენდზე კი ფავორიტებს თავიდანვე დაერივნენ — პირველ წრეებში ისეთი ბობოლები დაიფრინეს, როგორებიც დანიელა ჰანტუხოვა და პატი შნიდერი არიან. უიღბლოთა რიცხვს გუშინ ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ანა ჩაკვეტაძეც შეუერთდა რომელსაც ახალგაზრდა დომინიკა ციბულკოვა გაუმკლავდა. ეს თინეჯერი სლოვაკი წლეულს გამოჩნდა დიდ ჩოგბურთში და ფაქტობრივად კვირა არ გავა, ვინმე თავისზე გამოცდილი და სახელიანი არ გაამწაროს. ამჯერადაც სლოვაკმა არც ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი დაინდო და სამ სეტში მიჩოგნა.

სამაგიეროდ, ტურნირს შემორჩა მარია შარაპოვა. ისე, რუსი პრიმას ამელია აილენდზე გამოჩენა გვარიანი სიურპრიზი გახლდათ, რადგანაც, როგორც წესი, მაშა ერიდება ხოლმე ბევრ ტურნირზე თამაშს, მით უმეტეს, გაურბის თიხნარზე ჩოგნაობას. ბოლო სეზონებში შარაპოვა მხოლოდ ერთ-ორ ტურნირს თუ თამაშობდა თავისთვის ამ მეტად საძულველ საფარზე, მაგრამ, ეტყობა, წლეულს „როლან გაროსს“ სერიოზულად უმიზნებს და ცდილობს, თიხნარზე თამაშის რაც შეიძლება მეტი პრაქტიკა მიიღოს.

თუმც შარაპოვა უეჭველად სიამოვნებით იტყოდა უარს გუშინ მიღბულ გამოცდილებაზე, როცა ანაბელ მედინა-გარიგესთან შეხვედრაში ტარსარო რუსს მთელი თავისი ბრძოლისუნარიანობის გამოვლენა დასჭირდა. მაშამ მხოლოდ მესამე სეტის ტაიბრეიკზე გატეხა მეტოქე, როცა მატჩის დაწყებიდან უკვე მესამე საათი ილეოდა. არადა, შარაპოვას გაცილებით ადრე შეეძლო საქმის მოთავება, როცა მეორე სეტში 4:2 იყო წინ, მაგრამ უპირატესობა ქარს გაატანა. მესამე პარტიაში კი რუსი სულაც ჩამორჩა — 0:3 და ამიტომ წელზე ფეხის დადგმა მოუწია პრაქტიკულად მოგებული მატჩის ხელახლა მოსაგებად.

„ძალიან არასტაბილურად ვითამაშე. უეჭველად ორ სეტში უნდა მომეგო, მაგრამ არ გამოვიდა. თუმც ეს ხომ ჩოგბურთია და აქ ვითარება მალ-მალე იცვლება. თუმც ბედს არ ვუჩივი, რადგანაც გრუნტზე რაც მეტს ვითამაშებ, მით უკეთესი“ — განაცხადა ნამატჩევს შარაპოვამ. მეოთხედფინალში მაშას ალონა ბონდარენკოსთან მოუწევს დატაკება, რომელიც თავის მხრივ დინარა საფინას მოერია.

საინტერესო ჯახი გაიმართა ამელი მორესმოსა და აგნეშკა რადვანსკას შორისაც და, როგორც ბევრ სხვა გუშინდელ შეხვედრაში, აქაც გამარჯვებულის ვინაობა სამსეტიან ბრძოლაში გაირკვა. ვეტერანი ფრანგი არ შეუშინდა იმას, რომ პირველი პარტია პირწმინდად დათმო და მომდევნო სეტებში დიდი წვალებითა და ჯახირით, მაგრამ მაინც გამოჰგლიჯა გამარჯვება თავისზე 10 წლით უმცროს პოლონელს.

მარია შარაპოვა



მორესმოსთვის ეს მე-500 კარიერული გამარჯვება გახლდათ.

„რა მეთქმის — უკვე ასაკში ვარ“ — იხუმრა ნამატჩევს მორესმომ, რომელიც მეოთხედფინალში ზემოთ უკვე ნახსენებ ციბულკოვას დაეტაკება.

**ბაჩა ლომაშვილი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

# კედელია ჩვენი კედელა!
## ქართველმა ფალავანმა ევროპა ზედიზედ მესამედ დაიპყრო

გუშინ ლისაბონში ევროპის ჩემპიონატის პირველი დღე მიიწურა. შეჯიბრება 60 და 66 კგ წონით კატეგორიებში გაიმართა. 60 კგ-ში საქართველოს ნაკრებს ძველი სახე ნესტორ ხერგიანი წარმოადგენდა, ხოლო 66 კგ-ში მოქმედი ევროპის ჩემპიონი ზაზა კედელაშვილი გაისარჯა. ქართველებისთვის პირველივე დღე წარმატებული გამოდგა, მაგრამ, მოდით მოვლენებს თანამიმდევრულად მივყვეთ...

### 60 კგ

ნესტორ ხერგიანმა ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში ესპანელ კენჯი აემაცუსთან მძიმე ბრძოლა გამართა. უბერებელმა ქართველმა მხოლოდ ერთადერთი კოკათი შეძლო სადებიუტო გამარჯვების მოპოვება. შემდეგ კი ლატვიელ ოლეგს ფილიპოვსს საკმაოდ იოლად მოუთავა ხელი — მას კოკა, ვაზარი და იპონი აწვნია. შემდეგ ჯგუფის ბოლო ორთაბრძოლაში ჩეხი პაველ პეტრიკოვის ჯერიც დადგა, რომელთანაც ნესტორმა ბლომად ოფლი დაღვარა. ჩეხმა ქართველის ვაზარს ვაზარი დაუხვედრა და იუოკს იუკო, მაგრამ ხერგიანმა კოკაც მოინაგრა და ნახევარფინალს უწია, სადაც ავსტრიელ ლუდვიგ პაიშერს შეხვდა. პაიშერმა თავის ჯგუფში ადვილად დასცა მეტოქენი. მან ჯერ ლასლო ბორიანს (უნგრეთი) მოუგო, შემდეგ კვიპროსელ ანდრეას კრასას, ხოლო მესამე შეხვედრაში კი ებრაელი გალ იეკუტიელი გაუყენა რეპეშაჟის გზას.

მეორე ნახევარფინალური წყვილი რუბენ ჰუკსმა (ნიდერლანდები) და ბერძენმა ლავრენტის ალექსანიდისმა შეადგინეს. ჰუქსი ჯგუფში პედრო ჯაკინტოს (პორტუგალია) და რუსლან ჯიშმანოვს (რუსეთი) მოერია. ლავრენტის ალექსანიდისმა კი როკ დრაკსიკს (სლოვენია) და ჰოვანეს დავთიანს (სომხეთი) სძლია.

სამწუხაროდ ხერგიანი ნახევარფინალში დამარცხდა. მას ლუდვიგ პაიშერმა კოკა, იუკო და ბოლოს იპონი აულო. ნესტორმა ბრძოლა მესამე ადგილისთვის განაგრძო რუსლან კიშმაროვთან, ვისაც კოკა აულო და ბრინჯაოს მედალიც აართვა.

მეორე ბრინჯაო ტომით ქართველმა ლავრენტის ალექსანიდისმა დაისაკუთრა. ფინალში კი ლუდვიგ პაიშერმა აშკარად დაჯაბნა რუბენ ჰუკსი. მან ჰოლანდიელს ჯერ კოკა და მერე ვაზარი გამოგლიჯა.

### 66 კგ

ამ წონაში ევროპაში და მსოფლიოშიც კი უძლიერესმა ზაზა კედელაშვილმა ჯგუფური ეტაპი ადვილად დაძლია. ჯერ იყო და მოლდოველი მარსელ ტრუდოვი იპონზე წამოაქცია წუთსა და 15 წამში, შემდეგ სომეხი არმენ ნაზარიანი გააკრა ბეჭებზე. ხოლო მესამე შეხვედრაში პოლონელ ტომაშ ადამეცის დაიპონებას წუთზე ცოტა მეტი მოანდომა. ზაზა ნახევარფინალში ჰოლანდიელ დექს ელმონტს დაუპირისპირდა, რომელსაც ჯგუფურ ეტაპზე ორი ორთაბრძოლის გამართვა მოუხდა. მან პორტუგალიელ პედრო დიასს კოკათი მოუგო, ხოლო ჩეხ დევიდ დაბსკის ვაზარი და იპონი აულო.

მეორე ნახევარფინალს მიკლოშ უნგვარმა (უნგრეთი) და სებასტიან ბერშელომაც (საფრანგეთი) უწიეს. კედელაშვილსა და ელმონტს შორის შეხვედრამ თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა. ფინალისტი დამატებითმა დრომ გამოარკვია. ზაზა კინკილა კოკას გამორჩა და ზედიზედ მესამედ უწია ევროპის ჩემპიონატის ფინალს. კედელას ფინალში მოკლოშ უნგვარი შეუწყვილდა — უნგრელს ბერშელოს დაჯაბნისთვის 2 კოკაც ეყო.

ზაზა კედელაშვილმა ფინალურ ორთაბრძოლაში უნგვარს გამარჯვების თქმა არ აცალა. ჩვენმა ფალავანმა გადავლებით ორ წუთში სუფთა გამარჯვება მოიპოვა და ზედიდედ მესამედ დაისაკუთრა ევროპაში უპირველესის ჯილდო.

**ზურაბ მიგრიაული**



# ქართველების დევისი

## სლოვაკეთი 1:1 საქართველო

ლუკაშ ლაშკო 0:1 ირაკლი ლაბაძე

6:4, 6:7, 6:3, 3:6, 17:19

დომენიკ ჰრბატი 1:1 ნოდარ ითონიშვილი

6:4, 6:4, 6:4

**დღეს:** მერტინაკი-პოლაშეკი — ლაბაძე-ითონიშვილი

**ხვალ:** ლაშკო — ითონიშვილი; ჰრბატი — ლაბაძე

**გუშინ** ბრატისლავაში საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპა-აფრიკის პირველ ზონაში სლოვაკეთის ნაკრების წინააღმდეგ ორი მატჩი გამართა. პირველი დღის მერე ანგარიში 1:1-ია და ირაკლი ლაბაძის მატჩის მსვლელობას თუ გადახედავთ, დარწმუნდებით, რაოდენ დაძაბული ორთაბრძოლაც იყო.

თუკი რეიტინგსაც ჩავხედავთ, პირველი დღის შედეგს ქართველებისთვის ურიგო არ ეთქმის: ლაშკო მსოფლიოს 151-ე ჩოგანია, ჰრბატი კი — 199-ე. ჩვენგან კი მსოფლიო ათასეულში არავინაა, ახალგამოჯანმრთელებული ირაკლი ლაბაძე სულაც ურეიტინგოა.

**ირაკლი ნინიძე**



# ქართველები პეკინში წყვილად იკრივებენ

**გუშინ** საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მიმდინარე სალიცენზიო ტურნირზე ნიკოლოზ იზორიამ და კახაბერ ჟვანიამ ფინალებს უწიეს, რითაც გაინაღდეს პეკინის ოლიმპიადის საგზურები. ნიკოლოზ იზორია 57 კგ წონით კატეგორიაში გამოდის, ხოლო კახაბერ ჟვანია 69 კგ-ში. ჯერ ფინალური ბრძოლები არ გამართულა, მაგრამ ვერცხლის მედლებიც უკვე საკმარისია ოლიმპიადაზე გამგზავრებისთვის, ასე რომ საქართველო პეკინში სულ ცოტა ორი მოკრივით იქნება წარმოდგენილი ისევე, როგორც ოთხი წლის წინ ათენში იყო. იზორიამ წინა ოლიმპიადაზეც იკრივა.

**ზურაბ მიგრიაული**



# ზიმბაბვეს რეკორდი, ბრიტანეთს მედალი

**მანჩესტერში** გახურდა ცურვის მსოფლიოს ჩემპიონატი, ტურნირი მოკლე წყალში, ანუ 25-მეტრიან აუზში იმართება, რის გამოც — ჩვენში დარჩეს და — პრესტიჟი ეკარგება და მოცურავეთა ელიტის წარმომადგენლები ერთსულოვნად როდი სწყალობენ, მაგრამ რაკი მსოფლიოს ჩემპიონატი ჰქვია და ნაცნობ სახეებსაც მრავლად შეხვდება კაცი, ყურადღებას მაინც იმსახურებს.

მოკლე აუზების რეკორდთა საკუთარი სისტემა აქვს და მანჩესტერში რამდენიმე მსოფლიო რეკორდიც დამყარდა. თოვლივით ფითქინა ზიმბაბველმა კირსტი ქოვენთრიმ დაამტკიცა, რომ მსოფლიოში ერთერთი საუკეთესო მოცურავე ქალია და მისთვის სულერთია, რეკორდს 50-მეტრიან აუზში შეუტევს თუ 25-იანში. ის უფრო გულაღმა სტილს ანიჭებს უპირატესობას და ათენის ოლიმპიადაზეც (ოლიმპიადები 50-მეტრიანებში იმართება) გულაღმა 200 მეტრი მოიგო. მაგრამ ზიმბაბველი უნივერსალია და ახლა ოთხივე სტილისგან შემდგარ 400 კომპლექსურ მეტრში გამოაცხო რეკორდი. ეს დისტანცია 4 წუთსა და 26,52 წამში გაცურა და 1,31 წამით დაამოკლა უკრაინელი იანა კლოჩკოვას მიერ 2002 წელს დამყარებული რეკორდი. მთლად მსოფლიოს არა, მაგრამ 25-მეტრიან აუზებში გამართული მსოფლიოს პირველობების ერთი რეკორდი მან წინა დღით, 100 მეტრ გულაღმა გაცურვის ნახევარფინალშიც მოიხვეჭა და მანჩესტერულ პუბლიკას ორჯერ მოასმენინა ბრიტანეთის იმპერიის ყოფილ კოლინა ზიმბაბვის ჰიმნი.

მანჩესტერმა კიდევ ერთი რეკორდი იხილა, რომელიც, მასპინძელთა სამწუხაროდ, მათმა ბრიტმა თანამემამულემ კი არა, ამერიკელმა ჯესიკა ჰარდიმ დაამყარა, ვინც არაოლიმპიურ სახეობაში, 50 მეტრ ბრასში, ძველი რეკორდი 29,90 წამი 0,22 წამით გააუმჯობესა.

ინგლისელთა ამბიციური, თუმც არცთუ ბრწყინვალე გუნდი ახლოს იყო ერთ რეკორდთან, ისიც არაოლიმპიურთან — 800 მეტრ თავისუფალში, მაგრამ 0,25 წამი დააკლდა. რებეკა ადლინგტონი, ვისაც ეს რეკორდი, ასე ვთქვათ, პირადად გამოეცალა ხელიდან, მაინც სიხარულისგან ისე დახტოდა აუზის პირას, რომ ლამის უკან წყალში ჩავარდა. ეს ინგლისელი გოგოცუნა ამბობდა, ყველა დროის საუკეთესო გუნდი გვყავსო.

**ივანე ძოგიაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge